ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **განათლების მეცნიერებები**

ელაშვილი მარიამი

პირველკლასელთა სასკოლო მზაობა-პრობლემები და პერსპექტივები

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სასკოლო მზაობის არსი და პრობლემები.ზოგადად ტერმინი სასკოლო მზაობა უნდა გავიგოთ,როგორც ბავშვის გონებრივი, ემოციური და სოციალური მზადყოფნა სკოლის სპეციფიკური მოთხოვნებისადმი. მოგეხსენებათ, ბავშვის განვითარება უნიკალური, თანაზომიერი და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც იწყება ჩასახვის დღიდან და გრძელდება ბავშვობის ბოლომდე. კვლევების თანახმად, სწორედ ეს გზა განსაზღვრავს პიროვნების კეთილდღეობას, სწავლის ხარისხს, ქცევას და მომავალ წარმატებას.

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ სკოლისათვის მზაობა არ განისაზღვრება მხოლოდ ასაკით, ეს დამოკიდებულია მოტორული, სოციალურ-ემოციური, მეტყველებისა და კოგნიტური სფეროს განვითარების ხარისხზე. აგრეთვე , არანაკლემ ბნიშვნელოვანია ჯანმრთელობის და განვითარების მდგომარეობა. ამ ყველაფერს კი ოჯახთან ერთად განსაზღვრავს სოციალური გარემო , საბავშვო ბაღი. მათი ერთობლივი მუშაობით უნდა დაიხვეწოს სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების შემდეგი სფეროები:

- კომუნიკაცია და ზოგადი ცოდნა;
- ჯანმრთელობა, კეთილდღეობა;
- სოციალური კომპეტენცია;
- მეტყველება, კოგნიცია;
- ემოციური მზადყოფნა

თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ საზოგადოების მხრიდან არასწორადაა აღქმული ,,სასკოლო მზაობის '' არსი. დღეს-დღეობით მშობელთა ძალიან დიდ ნაწილს არა აქვს სწორი შეხედულება აღნიშნულთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ხშირად ჰგონიათ მშობლებს, რომ თუ მათმა შვილმა იცის ანგარიში, ანბანი, ლექსები- ის მზად არის სასკოლო ცხოვრების დასაწყებად. ან მეორე უკიდურესობას ვაწყდები- ბავშვებს, რომლებსაც აქვთ გარკვეული პრობლემა მეტყველების, ყურადღების კონცენტრაციის, მეხსიერების, ნატიფი მოტორიკის და ა.შ

მათი მშობლები ფიქრობენ , რომ ეს გამოწორდება სკოლაში მისვლის შემდეგ. რაც არასწორი მიდგომაა, აღნიშნული სირთულეები ბავშვს პირველ კლასში მთელ რიგ ბარიერებს შეუქმნის. ამიტომ, მნიშვნელოვანია პრევენცია და არა ლოდინი როდის გამოსწორდება პრობლემა თავისთავად. ხარვეზებს თავის მხრივ მოჰყვება შენიშვნები, მითითება, რაც იწვევს წარუმატებლობის განცდას ბავშვში. ემოციურად კნინდება, კარგავს თვითშეფასების უნარს, საკუთარი ძალის რწმენას. ამ ყოველივეს კი მოჰყვება შემდგომი წლების წარუმატებლობა. არაერთი კვლევაა განხორციელებული აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. თუმცა ვფიქრობ, ჩემი ნაშრომი წარმოადგენს სიახლეს, რადგან ამ ჭრილში არაა განხილული პრობლემები.

მოცემული ნაშრომის კვლევის **საგანია** პირველკლასელთა სასკოლო მზაობა. ხოლო კვლევის **ობიექტს წარმოადგენს** სასკოლო მზაობის გამოვლენის პროცესი პირველკლასელ მოსწავლეებში. ჩემი მიზანია ვიკვლიო, პირველკლასელ მოსწავლეთა სასკოლო მზაობა. მოვახდინო პრობლემების იდენტიფიცირება და შევიმუშავო რეკომენდაციების საბავშვო ბაღის აღმზრდელებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

აღნიშნულიდან გამომიდნარე დავისახე შემდეგი ამოცანები:

- არსებული მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის განსაზღვრა;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

Annotation

The following thesis discusses the essence and problems of school readiness. In general, the term – school readiness must be understood as a child's mental, emotional and social readiness to the specific requirements of the school. As you know, child development is a unique, proportionate and long term process that starts from birth and continues until the end of childhood. According to the research, this path is main the determinant of the well-being of person, the quality of learning, the behaviour and the future success.

It is scientifically confirmed that the readiness for school is not limited to age, it's depend on the quality of motor, social-emotional, speech and cognitive development. The state of health and development is also very important. All this, together with family is defined by social environment, - kindergarten. Their joint work should improve the following areas of development for school age children:

- Communication and general knowledge;
- Health, well-being;
- Social competence;
- Speech, cognition;
- Emotional readiness

The relevance of the topic is determined by the fact that the essence of "school readiness" is misunderstood by the public. Today, too many parents don't have a proper view of this. Unfortunately, they often think that if their child knows accounting, the alphabet, the poems is already ready to start school life. Or we see second extremity - children who have some problems with speech, attention concentrations, memory, fine motor etc. Their parents think that it will be corrected in school. Which is wrong approach, because these difficulties will create number of barriers for child in the first grade. Therefore, it is important to prevent and not wait when the problem will be solved. The shortcomings in turn lead to comments,

indications that lead to the feeling of failure in the child. The child gets declined emotionally, loses self-esteem and belief in his/her strength. All this will be followed by the failure of the subsequent years. Number of studies has been conducted regarding this issue. However, I think my work is a novelty, because in this context problems are not reviewed.

The subject of the following study is the readiness of first grade pupils. The study objective of this thesis is the process of revealing school readiness in first-grade pupils. My goal is to study school readiness for first-grade pupils. Identify problems and set recommendations for kindergartens and other stakeholders.

Based on this, I set the following tasks:

- Finding and processing existing secondary information;
- Determination of research methodology and instrument;
- Prepare conclusions and recommendations.

სარჩევი

ანოტაცია 2

1 თავი. სასკოლო მზაობა-საკითხის განსაზღვრისათვის 9

§1.1 პირველკლასელთა სწავლებისათვის მზაობის ზოგადი დახასიათება..... 9

§1.2. ჰარმონიული აღზრდის როლი სასკოლო მზაობაში 13

2 თავი. - ადრეული ასაკის მნიშვნელობის შეფასება-ისტორიული მიმოხილვა. 19

§2.1 სასკოლო მზაობა- ისტორიული კონტექსტი 19

2.2. სასკოლო ასაკის მნიშვნელობა სასწავლო პროცესის მზაობისათვის..... 34

§2.3 „სასკოლო მზაობის პროგრამა“..... 41

თავი 3 . სკოლისათვის მზაობის საერთაშორისო გამოცდილება 43

კვლევითი ნაწილი..... 52

დასკვნები:..... 63

რეკომენდაციები:..... 66

გამოყენებული ლიტერატურა:..... 69

დანართი 1

შესავალი

ეს ნაშრომი სასკოლო მზაობის პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას. არაერთი კვლევა ადასტურებს ადრეული წლების მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაᲨ პერიოდში მიღებული ცოდნა, უნარ-ჩვევები განმსაზღვრელია მომავალი წარმატების. ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს-დღეობით ჩვენს ქვეყანაში არასწორად არის აღქმული სკოლისათვის მზაობის საკითხი. ძალიან დიდი ნაწილი მშობლების, ვერ აანალიზებს რეალურად რას გულისხმობს სასკოლო მზაობა. ვერ იაზრებენ რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ 5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანისას, ან არასრულყოფილი უნარ-ჩვევების ,არასრულფასოვანი მზაობის დროს.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია სასკოლო მზაობის რაობა, არსი. ჰარმონიული აღზრდის მნიშვნელობა და რაობა სასკოლო მზაობის მისაღწევად. მეორე თავში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის სკოლამდელი ასაკის საგანმანათლებლო სისტემის ისტორიული მიმოხილვა. აქვე ვსაუბრობ სასკოლო ასაკის განსაზღვრაზე. იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკში თუნდაც რამოდენიმე თვე, ზრდა-ჩამოყალიბებისათვის. ნაადრევად, მოუმწიფებლად დაწყებული სასკოლო ცხოვრება გარანტიაა წარუმატებლობის. განხილული სასკოლო მზაობის პროგრამის არსი და რაობა.

მესამე თავი ეთმობა კვლევით ნაწილს. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. რესპოდენტები შერჩეულები არიან შემთხვევითი წესით, სულ 80 კაცი. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები. როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებიდან.

თემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აქამდე ჩატარებული კვლევებისგან განსხვავდბა, სხვა ჭრილშია წარმოდგენილი საკითხი. მნიშვნელოვანია სკოლის პედაგოგებისგან მივიღოთ რეკომენდაციები ,რა კუთხით მოდის სუსტი განვითარება. კვლევის შედეგად გავიგებ რა უნარ-ჩვევების განვითარებას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება სკოლამდელ დაწესებულებებში. ვფიქრობ, საკითხი აქტუალურია და სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა თავისთავად სიახლე იქნება.

მოცემული ნაშრომის კვლევის საგანია პირველკლასელთა სასკოლო მზაობა. ხოლო კვლევის ობიექტი - სასკოლო მზაობის გამოვლენის პროცესი პირველკლასელ მოსწავლეებში. აქედან გამომდინარე კვლევის მიზანია პირველკლასელთა სასკოლო მზაობის პრობლემების კვლევა, იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- არსებული მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის განსაზღვრა;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაცები, რომელიც საინტერესო იქნება სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებისათვის. ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

1 თავი. სასკოლო მზაობა-საკითხის განსაზღვრისათვის

§1.1 პირველკლასელთა სწავლებისათვის მზაობის ზოგადი დახასიათება

მას შემდეგ, რაც ადამიანმა გააცნობიერა საკუთარი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის აღზრდის წინაშე, აღზრდის მიზნის საკითხი, ანუ, როგორი ადამიანის ფორმირება სურს სახელმწიფოს ამა თუ იმ ეპოქაში, ძალზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხად ითვლება. ადამიანური გონება და ფიქრი არ ცხრება ამ პრობლემის მოგვარების პროცესში, საზოგადოებებისა და სახელმწიფოების ყურადღება მუდმივად მიმართულია ამ ურთულესი საკითხის განსაზღვრისა და მოგვარების პროცესისაკენ, ვინაიდან ყველასათვის დღესავით ნათელია, რომ კაცობრიობის მომავალს სწორედ მომავალი თაობის რაგვარობა განსაზღვრავს.

მოგეხსენებათ, თანამედროვე სამყარო მობილური და გლობალურია. იმისათვის, რომ ადამიანი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბდეს, აუცილებლად უნდა მიიღოს განათლება. განათლებული , სწავლული პიროვნება არის , სახელმწიფოს ძლიერი დასაყრდენი, რომლის ხელშიცაა ქვეყნის ეკონომიკა, კულტურა, პოლიტიკა და ა.შ. უფროსი თაობის მიზანი მომავალი თაობების აღზრდაა. განათლება, სწავლების ანალოგიურად აღზრდის საშუალებაა. იმისათვის,რომ ავღზარდოთ ,საჭიროა ადრეული ასაკიდან მივაწოდით ბავშვს შესაფერისი ინფორმაცია. როდესაც იბადება ადამიანი, თან დაჰყვება დამახასიათებელი ხასიათი, თვისებები, ყველა ვართ მატარებელი გენეტიკური კოდისა,რომელიც გვხვდა მემკვიდრეობით.ცხადია, მხოლოდ გენეტიკას ვერ ჩავთვლით პიროვნების მახასიათებლად. ზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში დიდ ზეგავლენას ახდენს გარემო ფაქტორები. გენეტიკას ვერაფერს მოვუხერხებთ, მაგრამ ჩვენზე, ზრდასრულებზეა დამოკიდებული როგორ გარემოში მოხვდება მოზარდი.

ადრეული ასაკი, უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ეტაპია ადამიანის ფორმირებაში. ამ ასაკში ნანახი, გაგონილი, შეთვისებული აუცილებლად ისახება მომავალ ცხოვრებაზე,სწავლასა თუ მიღწევებზე.მოკლედ რომ ვთქვათ, მშობლებზე, სახელმწიფოსა და საზოგადოებაზეა დამოკიდებული ბავშვის აღზრდა, ფორმირება.

სკოლამდელი აღზრდის ფსიქოლოგთა ერთ-ერთ და უმნიშვნელოვანეს საკითხად დგას ,,სასკოლო მზაობა“. უკანასკნელ პერიოდში ხშირად გამოიყნება აღნიშნული ტერმინი, რომელიც გულისხმობს ბავშვის მზაობას სკოლის სპეციფიკური მოთხოვნებისადმი. არის მზად ბავშვი წავიდეს სკოლაში?- ამ კითხვაზე პსუხის გაცემა თითოეული კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. განათლების ჰუმანიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე კი კითხვა შეიძლება ასეც დაისვას:,,ვინ უნდა იყოს მზად,ბავშვი სკოლისთვის,თუ სკოლა ბავშვისთვის?

უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე ბევრი ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტი იყო დაკავებული ამ საკითხის კვლევით. ი.შვანცარა ბავშვის მზადყოფნას სკოლაში წასასვლელად განიხილავს, როგორც განვითარების იმ საფრხურზე ყოფნას, როცა მოზარდი ,,ხდება უნარიანი, მიიღოს მონაწილეობა სასკოლო განათლებაში“. იგი სკოლისათვის მზაობას მიიჩნევს გონებრივ, სოციალურ და ემოციურ კომპონენტთა მზაობას.

ა. ანასტაზის აზრით- ,,სკოლისათვის მზაობა გულისხმობს სასკოლო პროგრამის ოპტიმალურ დონეზე შეთვისებისათვის ბავშვის მიერ სათანადო უნარების ,ცოდნის, შესაძლებლობების , მოტივაციისა და სხვა აუცილებლობების დაუფლებას.“

ლ.ბოჟოვიჩი ჯერ კიდევ 60 იან წლებში მიუთითებდა , რომ სასკოლო სწავლებისადმი მზადყოფნა განისაზღვრება აზროვნების გარკვეული დონით, შემეცნებითი ინტერესების რეგულაციით,მოსწავლის სოციალური პოზიციით.

სკოლის პრაქტიკული პრობლემების მიმართ უდიდესმა ინტერესმა განაპირობა სწორედ ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენლის, დიმიტრი უზნაძის მიერ ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის პირველი მონოგრაფიების შექმნა. შემდგომში ამ საკითხზე აქტიურად მუშაობდნენ: შალვა ჩხარტიშვილი, ბარნაბა ხაჭაპურიძე, ნათელა იმედაძე, შალვა ამონაშვილი და სხვანი. მათი თვალსაზრისით, ბავშვთა ჰარმონიული განვითარებისთვის ნბსაჭიროა სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლის სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო პროგრამები და შინაგანაწესი შეესაბამებოდეს ბავშვთა ასაკობრივ განითარებას. როგორც დიმიტრი უზნაძე იტყოდა,სკოლამ უნდა შეუქმნას ბავშვებს ,,ასაკობრივი გარემო „.ასეთი გარემოს შექმნა

კი საფუძვლად უნდა დაედოს ბავშვის ფ სიქოლოგიის ღრმა ცოდნა, რაც იმას გულისხმობს, რომ ბავშვის განვითარების ყოველი წლისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ყოველი ფსიქიკური ფუნქციის განვითარების თავისებურება აღქმის , ყურადღების, აზროვნების, მეხსიერების და ასე შემდეგ.

მოგეხსენებათ, სკოლაში შესვლა ახალი, საოცნებო და საინტერესო ეტაპია ყველა ბავშვისათვის. მაგრამ, ცხადია, მათ არ აქვთ გააზრებული რას ნიშნავს ეს,რა პასუხისმგებლობა-მოვალეობები დაეკისრებათ ცხოვრების ახალ ეტაპზე. კვლევებზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას,რომ მომავალი წლების წარმატება,სკოლაში და უნივერსიტეტში აკადემიური მოსწრება დამოკიდებულია სკოლაში შესვლის დროს ბავშვის სასწავლო უნარ-ჩვევებზე. დადგენილია,რომ სკოლისათვის მზაობა არ განისაზღვრება მხოლოდ ბიოლოგიური ასაკით.ამისათვის საჭიროა კომპლექსური მზადყოფნა.

ბავშვი მზად უნდა იყოს სკოლისთვის ემოციურად, უნდა იყოს ჯანმრთელი, ჰქონდეს ურთიერთობების დამყარების უნარი, შესაბამისი მეტყველება და ა.შ. მზაობის დიაგნოსტირება უნდა განისაზღვროს ექიმის, ფსიქოლოგის და პედაგოგის მიერ. დღეს სკოლისთვის მზაობა განიხილება როგორც ბავშვის კოგნიტური, მოტივაციური და კომუნიკაციური გამოცდილების დონის კომპლექსური მზადყოფნა.ამ ყველაფერში კი დიდია პედაგოგის, მშობლის თუ იმ გარემოს როლი, სადაც იზრდება ბავშვი. სწორედ მათი საშუალებით ხვდება ბავშვში იმ მოტივთა იერარქიული სისტემის ჩამოყალიბება .

შ. ჩხარტიშვილი თავის წიგნში ,,აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია“ პედაგოგის როლის შესახებ ამბობს: ,, არ არსებობს მეორე საქმე,რომელსაც ისეთი ფაქიზი რთული და საპატიო მოვლენის მართვა და ფორმირება ჰქონდეს დაკისრებული,როგორიც ბავშვის სულია.იგი მასწავლებელსა და აღმზრდელებს აქვთ მინდობილი. მასწავლებელი, რომელიც ამ საქმეს შესატყვისი პასუხისმგებლობით არ ეკიდება, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ხალხსა და ქვეყანას ზიანს აყენებს.მასწავლებელი ღრმად განათლებული პიროვნება უნდა იყოს, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო მაინც მისი მორალური მომზადებაა. რარიგ დიდი ზოგადი და სპეციალური განათლებაც არ უნდა ჰქონდეს მასწავლებელს, იგი თუ თვითონ მორალურად სრულყოპილი არაა,

მოზარდის სულის სწორად ფორმირებას ვერ უზრუნველყოფს.-აღმზრდელი თავად უნდა იყოს აღზრდილი, რომ მოზარდის პიროვნების ფორმირების წმინდა საქმეს წარუძღვეს წინ ,,

ბავშვის სკოლისათვის ფსიქოლოგური მზადყოფნა არის მის საბავშვო ბაღში და ოჯახში აღზრდისა და სწავლების არსებული სისტემის შედეგი. წარმატებით სწავლებისათვის საჭირო თვისებები უცებ არ წარმოიშობა, ისინი ფორმირდება თანდათანობით, დაბადების მომენტიდანვე. ხაზი უნდა გაესვას ამ თვისების ფორმირებაში საქმიანობის ისეთი სახეების მნიშვნელობას, როგორიცაა თამაში, ხატვა, კონსტრუირება და სხვა. სწორედ მათი საშუალებით ვითარდება აზროვნება , ნებისყოფა, ფანტაზია, ბავშვთა შორის ურთიერთდამოკიდებულება. ცხადია,ეს ხდება არა თავისთავად, არამედ უფროსების მიერ ბავშვის საქმიანობის გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ.

სკოლამდელი ბავშვის ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში არანაკლებ როლს თამაშობს სპეციალური აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს საბავშვო ბაღის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ის უნდა ეყრდნობოდეს ფსიქიკურ განვითარებაში მიღწეულ წინა წარმატებებს. არ არის სასურველი და შესაძლოა მავნეც აღმოჩნდეს ბავშვის მეხსიერების დატვირთვა დიდი ინფორმაციით, გაუაზრებელი მექანიკური სწავლებით. პირიქით, კარგ შედეგს იძლევა ელემენტარული ცოდნის მიწოდება დოზირებულად და ასაკის შესაბმისად. ეს კი მნიშვნელოვნად აიოლებს შედარებით რთულ სასკოლო პროგრამაზე გადასვლას. სკოლამდელ ასაკში წერისათვის ხელის მომზადება, ხელის წვრილი კუნთების მოტორული განვითარება , თითების მოძრაობის კოორდინაცია და ნატიფი მოძრაობის განვითარება ბავშვის სკოლისათვის მზაობის საკითხის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა.

სასკოლო სწავლისათვის ბავშვის მზაობა გულისხმობს მისი გონებრივი, ზნეობრივი, ნებელობითი, ესთეტიკურიდა ფიზიკური განვითარების ისეთ დონეს,რომელიც უქმნის პირობებს მის აქტიურად შესვლას სასკოლოსწავლების სიტუაციებში, სასწავლო მასალის შეგნებულად ათვისებაში. სკოლისათვის მზაობა

ხასიათდება ფსიქიკური განვითარების განსაზღვრული დონით, რომელსაც უნდა მიაღწიოს ბავშვმა სკოლაში შესვლამდე.

მოგეხსენებათ, განვითარება და მზაობა კი აღზრდით მიიღწევა. „შეუძლებელია ისე ავღზარდოთ მოზარდი, რომ წინასწარ არ განვსაზღვროთ აღზრდის მიზანი, ე.ი აღსაზრდელი გარკვეული „პროექტის“ მიხედვით უნდა ჩამოვაყალიბოთ“ - ამბობს იაკობ გოგებაშვილი, თუმცა აქვე აღნიშნავს იმასაც, რომ „დამოუკიდებელი ადამიანის აღზრდა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს გულისხმობდეს ერთნაირი მსოფხედველობის, აზრისა და მისწრაფების ადამიანის აღზრდას, რომელშიც ინდივიდუალური თავისებურებები არ გამოვლინდება. „დაპროექტებული ადამიანის“ აღზრდა გულისხმობს იმ უნარ-ჩვევების კომპლექსის ჩამოყალიბებას,რაც ჰარმონიულად უკავშირდება საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და საყოველთაოდ მიღებულ სოციალურ-კულტურულ ღირებულებებს. აღზრდა- განათლების მიზნად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია ადამიანის ყოველმხრივი მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.მისი შეიარაღება იმ ცოდნით,რომელიც მისცემს ბუნების ძალთა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს.აღზრდა განათლების ამგვარი მიზანი,იაკობის აზრით უნდა გულისხმობდეს ბავშვის „სულის ჰარმონიულად განვითარებას,რაც შეადგენს იდეალს სწავლისას და აღზრდისას“ (ი.გოგებაშვილი ,,რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“ თბ.1910წ.)

§1.2. ჰარმონიული აღზრდის როლი სასკოლო მზაობაში

ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 384-322 წლებში არისტოტელემ ჩამოაყალიბა პიროვნების ჰარმონიული განვითარების იდეა. რაც მოიცავდა ფიზიკურ, გონებრივ, და ზნეობრივ აღზრდას. სკოლამდელ პერიოდს არისტოტელე მნიშვნელოვან ეტაპად მოიხსენიებდა. მისი აზრით, ეს იყო პიროვნებად ჩამოყალიბების პერიოდი. უდიდესი მოაზროვნე ხაზს უსვამს ბავშვის გარემო პირობებს, ჰიგიენას, ბავშვის რძით კვების აუცილებლობას. იგი მომხრე იყო, პატარა ასაკიდან გამოეყენებინა მშობელს ლოგიკური

თამაშები. ხოლო,როდესაც შეუსრულდებოდა 5 წელი, დაეწყო მომზადება სასკოლო ცხოვრებისათვის.

და დღეს, საუკუნეების შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ მსგავსი შინაარსის მოძღვრებას აღზრდის შესახებ. აღზრდა ზოგადი გაგებით არის მრავალმხრივ განვითარებული, განათლებული ,მორალურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი. რომელსაც მართავს ოჯახი,პედაგოგი და მთლიანად საზოგადოება. ოჯახის, პედაგოგის, საზოგადოების მაგალითზე ხდება ბავშვის ფორმირება.

ჰარმონიული აღზრდის ყველა შემდგენელ ნაწილს, გონებრივს, ზნეობრივს, ესთეტიკურს, ფიზიკურს და შრომითს თანაბარი მნიშვნელობა აქვს პიროვნების განვითარებისათვის და რომელიმე მათგანის უპირატესობაზე საუბარი ზედმეტია. ისინი არათუ არ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ ერთ მთლიანობას ქმნიან პიროვნების ჰარმონიული აღზრდის პროცესში. თითოეული შემადგენელი ნაწილი ემსახურება არა მხოლოდ ადამიანის რომელიმე სპეციფიკური მხარის განვითარებას, არამედ მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას, მისი ყველა ძალისა და შესაძლებლობათა ყოველმხრივ განვითარებას.

არაერთხელ ავღნიშნეთ ადრეული ასაკის მნიშვნელობა და როლი ადამიანიც ცხოვრებაში. ამ დროს მიღებული ცოდნა და უნარები საწინდარია მომავალი წარმატებისა. ასაკობრივად შერჩეული აქტივობებით უნდა მიეჩვიოს ბავშვი მოსალოდნელ სასკოლო სირთულეებს. რთული იქნება მეცნიერული ცოდნის ათვისება თუ არ ჩამოვუყალიბებთ მსჯელობის და ანალიზის უნარს. ცხადია, მშობელი და პედაგოგი არ ეყოლება მას გვერდით, ამიტომ უნდა გამოვუმუშაოთ სწავლის უნარი, რათა დამოუკიდებლად შეძლოს ამ პროცესის მართვა.

სკოლაში შესვლისას, ბავშვს უნდა ჰქონდეს ზოგადი განათლება, გარკვეული მარაგი, საფუძველი. ბავშვს ასწავლიან იმას, რისი აღქმა, გაგება, დამახსოვრება, წარმოდგენა და წარმოსახვაც შეუძლია. ამიტომ, ასაკის შესაბამისად ინტელექტუალურად ჩამოყალიბებულ ბავშვს თვითონ მასალის ათვისებაში, სათანადო შრომით, შეუძლია ყველა სიძნელის დაძლევა, მაგრამ, თუ ბავშვი ინტელექტაულური განვითარების

ტემპით საკუთარ ასაკს ჩამორჩება, იგი თავიდანვე ვერ დაძლევს მასალას, რამაც შეიძ-ლება განაპირობოს მისი აკადემიური ჩამორჩენა არა მარტო პირველ კლასში, არამედ მომდევნო წლებშიც.

სასკოლი ასაკის დასაწყისში ბავშვს უყალიბდება თვალსაჩინო სქემატური აზროვნება. ამ ასაკის ბავშვებს შეუძლიათ დაამყარონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და უვითარდებათ ცნებითი აზროვნება; აგრეთვე სწავლობენ ვერბალურ-ლოგიკურ აზროვნებას, თხრობას.

სასკოლო სწავლებისათვის ბავშვის მომწიფებაში შ. ჩხარტიშვილი

გამოჰყოფს სამ ასპექტს:

1. ფიზიკური მომწიფება;

2. ინტელექტუალური მომწიფება;

3. სოციალურ-პიროვნული მომწიფება.

სწავლისათვის ფიზიკური მომზადება ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესიასხვა უნარებთან ერთად.ძვალკუნთოვანი სისტემის განვითარების გარეშე ვერ შეძლებს ბავშვი სწავლისათვის საჭირო მოძრაობათა განხორციელებას (მაგალითად, წერის და კითხვის ჩვევათა შემუშავებისათვის წვრილი კუნთების განვითარებას, რადგანაც ისინი უზრუნველყოფენ თვალების კომოდაცია-კონვერგენციასდა ხელის მტევნის კოორდინირებულ მოძრაობებს).

1-დან 6 -წლამდე ასალოის ბავსვი 2 დან 3 კილოგრამამდე იმატეს წონაში, სიმაღლეში კი 6 დან 7- სანტიმეტრამდე იზრდება.ირღვევა პროპორციულობა თავის ზომასა და ტანს შორის.თუმცა,სასკოლო ასაკში ეს პროპორცია სტაბილურდება. დ.უზნაძის მიხედვით, 6-7 წლის ბავშვი შედარებით პროპორციულად იზრდება: ფეხები მათ შედარებით უფრო დაგრეძელებული აქვთ, _ ახლა იგი მთელი სიმაღლის 43-45 %-ს შედაგენს; თავი კი სიგრძის 1/6-ს არ აღემატება. მაშასადამე, მისი სხეულის პროპორციები თითქმის დიდისას აღწევს (დიდი ადამიანის ფეხების სიგრძე სიმაღლის 47-48 %-ს უდრის, ხოლო თავის _ 1/8-ს). ჩასუქებული, გამგრვალებული, პუნტულა ბავშვი ახლა სულ სხვაგვარი მოჩანს: იგი შედარებით გამხდარია, კუნთები

განმტკიცებული და განვითარებული აქვს, ხოლო ქსოვილები საგრძნობლად გამკვრივებული.

ბავშვის ფიზიკურ განვითარებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოტორულ განვითარებას.რაც ნიშნავს მოძრაობას განვითარების და სწავლების კონტექსტში. სკოლამდელ ასაკში ბავშვს თანდათანობით უვითარდება დიდი კუნთების კონტროლის უნარი. სკოლისწინარე ასაკში ბავშვები კიდევ უფრო გაბედულები ხდებიან. მათ თავისუფლად შეუძლიათ ერთ ფეხზე დადგომა და ხტუნვით სიარული. ექვსი წლის ბავშვები ძალიან სწრაფად დარბიან და უყვართ სხვა ბავშვებთან ან უფროსებთან სირბილში შეჯიბრება.

დაკვირვებებით დადგენილია, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად უვითარდებათ სხეულის კონტროლის უნარი. 6 წლის ბავშვს უკვე შეუძლია ერთ ადგილზე დიდი ხნით ჯდომა,რასაც ვერ ვიტყვით 5 წლისაზე.1 წელი საკმაოდ დიდი პერიოდია ბავშვის როგორც ფიზიკური,ასვე გონებრივი განვითარებისათვის.

ამავდროულად ხდება ტვინისა და ნერვული სისტემის განვითარება. 5-6 წლის ბავშვის ტვინი მოზრდილი ადამიანის ტვინის ცხრა-მეათედის ტოლია. ტვინი და თავი სხეულის სხვა ნაწილზე უფრო სწრაფად იზრდება. მეცნიერულად დადგენილია,რომ 3-დან 6 წლამდე ყველაზე სწრაფად ტვინის წინა (ფრონტალური) ნაწილი იზრდება. ტვინის ეს ნაწილი მოქმედების დაგეგმვის, ახალი დავალებების ორგანიზაციისა და ყურადღების კონცენტრაციაზეა პასუხისმგებელი. 6 წლიდან გარდამავალ ასაკამდე ყველაზე სწრაფად ტვინის ის ნაწილები ვითარდება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის და სივრცითი მიმართებების განვითარებაში.

მაშასადამე,დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ორგანიზმი ინტენსიურად ვითარდება,რაც ხელს უწყობს სასკოლო მზაობას.

ჰარმონიული აღზრდის ერთ-ერთ კომპონენტად წარმოდგენილია მორალური აღზრდა. სასკოლო მზაობის შესაქმნელად ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი პირობაა, სიცოცხლის პირველივე წლებიდან ვიზრუნოთ ბავშვის მორალურ აღზრდაზე. მოზარდს ადრეული ასაკიდანვე , უფროსების მაგალითებისა და სწორად შერჩეული

საბავშვო ლიტერატურის მეშვეობით , უნდა გაუჩნდეს განცდა თანაგღძნობისა, დახმარების და სიკეთის კეთების .

მორალურ გრძნობათა აღზრდა ოჯახურ გარემოში იწყება. სრულყოფას და განვითარებას კი სკოლის და საზოგადოების მეშვეობით აღწევს. დამეთანხმებით ,ადვილი არ არის მოზარდს რამოდენიმე მითითებით შეასწავლო ესა თუ ის ქცევა. დიდი ნებისყოფის და მრავალგზის მითითების შედეგად ყალიბდება მორალური ქცევის უნარი. ოჯახური გარემოს შემდეგ ბავშვი ხვდება ახალ სოციუმში. იძენს ახალ ნაცნობებს, მეგობრებს. მას თუ ექნება შესაფერისი მორალური აღზრდა არ გაუჭირდება ადაფტაცია.

სწავლებისათვის სოციალურ-პიროვნული მომწიფება გამოიხატება ბავშვის მზაობაში -- აიღოს თავის თავზე მოსწავლის სოციალური როლი და გაართვას თავი საზოგადოებისგან წაყენებულ პირობებს. ჩემი აზრით, ყველა ბავშვში არის პოტენციალი, მეტ-ნაკლები რაოდენობით. მთავარია ესთეტიურად მივაწოდოთ მას ესა თუ ის საკითხი.ვასწავლოთ როგორ უნდა აღიქვას სამარო, სილამაზე, ამაღლებული გრძნობები.

სიცოცხლის პირველ წლებში არაერთი კრიზისული ასაკის გადალახვა უწევთ ბავშვებს. ამ სიძნელეებში გამოვყოფდი ,, 3 წლის ასაკში არსებულ კრიზისს“ ,რომლის გადალახვა უჭირს ბავშვთა გარკვეულ ნაწილს. ცხადია, სიჯიუტის ეტაპი თუ არ გადალახა ბავშვმა, გაუჭირდება სკოლასთან და ახალ გარემოცვასთან შეგუება. სწორედ ესთეტიკის საგანია , ვასწავლოთ მოზარდს საკუთარი გრძნობების მართვა,სწორი ქცევა.

იმისათვის, რომ გაუადვილდეს ბავშვს ახალ გაემოსთან ადაფტაცია,გამოვყოფდი 3 ძირითად პარამეტრს:

- უფროსებთან ურთიერთობის უნარი;
- თანატოლებთან ურთიერთობის უნარი;
- თვითშეფასება,საკუთარ თავთან დამოკიდებულება.

მოგეხსენებათ, სკოლამდელ ასაკში ბავშვები გულღია და გახსნილნი არიან, თუმცა, როდესაც ხვდებიან ახალ გარემოში იცვლებიან. როგორც შ.ჩხარტიშვილი

აღნიშნავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლაში პირველ დღეს მიღებულ შთაბეჭდილებებს. პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს,ცხადია, მან უნდა აგრძნობინოს პირველკლასელებს სითბო და სიყვარული. სწორედ მან უნდა დაარეგულიროს ურთიერთობები მოზარდებს შორის, რაც არც თუ ისე მარ ტივია.

5-6 წლის ბავშვისთვის დამახასიათებელია საკუთარი თავისა და მისი შესაძლებლობების მაღალი შეფასება. ეს ემართებათ არა ზედმეტი თვითდაჯერებულო-ბითა და ქედმაღლობით, არამედ ბავშვური თვითშეგნების სპეციფიკის შედეგად. საჭირო არ არის ვიბრძოლოთ ბავშვის მაღალ თვითშეფასებასთან. პირიქით, ძალიან სათუთად დავაბალანსოთ ის. ვხვდებით მეორე უკიდურესობასაც, არიან ბავშვები,რომლებსაც აქვთ დაბალი თვით შფასება. ჩემი აზრით, აზრით ეს მიგვითითებს არა თვითშეგნების ინტენსიურ განვითარებაზე, არამედ იმაზე, რომ ამ ბავშვებს უფროსებისაგან აკლიათ თანაგრძნობა, სიყვარული და ყურადღება. ბავშვები განიცდიან ურთიერთობის დეფიციტს, ისინი თავს ვერ გრძნობენ დაცულად. სამწუხაროდ ,ეს განწყობა აუცილებლად აისახება ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე.

და ბოლოს, მოკლედ შევეხები შრომითი აღზრდის როლს,რომელიც აგრეთვე უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სასკოლო მზაობისათვის. ბავშვი ოჯახურ გარემოში ადრეული ასაკიდან უნდა იყოს შეჩვეული მარტივ შრომით აქტივობებს.მას თამაშის დროს უხდება სათამაშოს აწყობა, მოვლა, შენახვა და შეკეთება. ასაკის მატებასთან ერთად კი ნელ-ნელა ერთვება მარტივ საოჯახო საქმიანობებში. ეს უნარი გაუადვილებს მას, მომავალში სასკოლო დავალებების შესრულებას. ,,სწავლა მოსწავლის შრომის ძირიტადი სახეა, სწორედ ამიტომ შრომითი აღზრდა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მთლიანი პროცესის განუყოფელი ნაწილია და ზოგადად , ამ კანონზომიერებით არის განპირობებული. სწავლის პროცესში მოსწავლეს უხდება სხვადასხვა სახის დავალების შესრულება, დისციპლინის დაცვა, სისტემატიური , ყოველდღიური მუშაობა, რაც მისთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს.“[ჭკუასელი.2012]

2 თავი. - ადრეული ასაკის მნიშვნელობის შეფასება-ისტორიული მიმოხილვა.

§2.1 სასკოლო მზაობა- ისტორიული კონტექსტი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ადრეული ასაკი უმნიშვნელოვანესი ეტაპია ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაში. შესაბამისად, ამ ასაკში მიღებული გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პროცესსა და მრავალმხრივი განვითარებისათვის . იმისათვის ,რომ ბავშვი სწორად განვითარდეს, საჭიროა შეიქმნას გარემოპირობები მშობლების და სახელმწიფოს მიერ.

უხსოვარი დროიდან მსჯელობდა კცობრიობა ამ საკითხზე, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, პლატონი და არისტოტელე აღნიშნავენ სკოლამდელი ასაკის მნიშვნელობას. პლატონი თავის ნაშრომებში ყურადღებას ამახვილებს თამაშზე, როგორც აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებაზე და განსაზღვრა ძირითადი მოთხოვნილებანი იმ პირთა მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ ბავშვის აღზრდაში. „ ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე ბავშვებისათვის თხრობას და აყენებს სათხრობი მასალის, კერძოდ ზღაპრების გულდასმით შერჩევის საკითხს“ (1. გვ. 41). სკოლამდელ პერიოდს მიიჩნევდა ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად. ამ ასაკში სხვადასხვაგვარ თამაშობასთან ერთად, მისი აზრით, საჭირო იყო გამოეყენებინათ გონების გასავარჯიშებელი მოთხრობები, ხუთი წლის ასაკიდან დაწყებული კი მოემზადებინათ ბავშვები სკოლისათვის.

პედაგოგიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ნაშრომის ავტორია რომაელი მარკუს ფაბიუსი. სკოლამდელი განათლების საფუძვლების კუთხით აქვს ორიგინალური ნაშრომი - „მჭერმეტყველების სწავლება“(12 წიგნი). კვინტილიანე ხაზს უსვამდა გარემომცველი წრის ზეგავლენის მნიშვნელობას ბავშვის პირველდაწყებითი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე და მიუთითებდა თანამედროვე საზოგადოების მავნე ზეგავლენაზე. კვინტილიანი სკოლამდელ აღზრდაზე საუბრისას მიმართავს

მშობლებს, ძიძას და პედაგოგს, რომლის შერჩევაც მისი აზრით, რთული საქმეა, ვინაიდან ბავშვი პედაგოგისაგან ღებულობს ცოდნას სამყაროზე, ზნეობაზე, მორალზე. კვინტილიანე თვლიდა, რომ მნიშვნელოვანი იყო საგაკვეთილო პროცესებს ჰქონოდა სისტემატიური სახე. მაგრამ გადაცემული ცოდნის მოცულობა არ უნდა იყოს ბავშვისთვის დამღლელი, მოსაბეზრებელი. პედაგოგმა უნდა შეარჩიოს მეთოდი ,რომლის საშუალებითაც მხიარული ნოტებიტ გადასცემს სიახლეს ბავშვს.ყველაზნაირად უნდა ეცადოს აღმზრდელი, არ შეაძულოს ბავშვს სწავლის პროცესი,ეს საკმაოდ საყურადღებო დეტალია.- წერდა დიდი მოაზროვნე.(ქ.ჭკუასელი.ივ.ჭკუასელი2012წ.)

XIV-XVI საუკუნეებში, აღორძინების ეპოქაში, საზოგადოებრივი შეხედულებები ხდება მეტად ჰუმანური.ცხადია იცვლება შეხედულებეი და მიდგომები ბავშვზეც . ჰუმანისტები მას უყურებენ ,როგორც ჩვეულებრივ ბუნების ნაწილს, პირმშოს ,რომელსაც აქვს ყველაფრის უფლება.ის უნდა ცხოვრობდეს ლაღად, ბედნიერად, აუცილებელია განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად. ითამაშოს ძალიან ბევრი და შეიმეცნოს გარესამყაროს სილამაზე. აქ უკვე იკვეთება პედაგოგების მოწოდება, გაითვალისწინონ ფსიქოლოგიური თავისებურებები. პირველმა სოციალისტ–უტოპისტებმა თომას მორმა (1478–1535) და თომაზო კამპანელმა (1568–1639) შრომებში – პირველმა „უტოპიაში“, მეორემ „მზის ქალაქში“ გამოხატეს თავიანთი ოცნებები ადამიანთა სრულყოფილ საზოგადოებაზე, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ექსპლუატაციისაგან, სიღარიბისა და კლასობრივი უთანასწორობისაგან. თ. მორის და თ. კამპანელის იდეალურ სახელმწიფოში მნიშვნელოვნად მიაჩნდათ საზოგადოებრივი აღზრდა ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის. დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვის ფიზიკურ განვითარებას. ისინი თვლიდნენ, რომ მნიშვნელოვანი იყო ბავშვისთვის მცირედი ინფორმაციის მიწოდება, მრავალფეროვანი ხერხებით.

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის პედაგოგიკის,როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებაში ჩეხ პედაგოგ - იან ამოს კომენსკის(1592–1670). იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სკოლამდელ ბავშვთა აღზრდას. კომენსკი მიიჩნევდა, რომ ადამიანი მუდმივად განვითარების პროცესშია,მას გაიდეალებული ჰქონდა აღზრდის როლი- მას მიაჩნდა, რომ ადამიანი როგორც ბუნებრივი არსება, განიცდის მუდმივ განვითარებას. კომენსკი აიდეალებდა აღზრდის როლს :-,,ყოველი ბავშვისაგან შეგვიძლია შევქმნათ ადამიანი“

(6. გვ.63). სწორედ მან შექმნა არაჩვეულებრივი ასაკობრივი პერიოდიზაცია , სათითაოდ დაახასიათა ყველა მათგანი. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პირველ მათგანს, რომელიც გრძელდებოდა 6 წლამდე. კომენსკის მიაჩნდა, რომ იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობს გაძლიერებული ფიზიკური ზრდა და გრძნობების ორგანოების განვითარება, უმცროსი ბავშვები უნდა იზრდებოდნენ დედათა სკოლებში, ოჯახში, რომელსაც ბრძენი დედანი ხელმძღვანელობენ, აქვთ პედაგოგიური ნიჭი და უყვართ თავიანთი აღსაზრდელები. კომენსკის სპეციალური შრომა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის შესახებ „დედათა სკოლა“ მოგვევლინა მსოფლიოში სკოლამდელი აღზრდის პირველ პროგრამად და სახელმძღვანელოდ.დამეთანხმებით, ეს იყო მოვლენა. კომენსკი მოუწოდებდა ყველას, განსაკუთრებულად ეზრუნათ ბავშვების ფიზიკურ განვითარებაზე, მათ ჯანმრთელობაზე. რადგან, ვერანაირ განვითარებას ვერ მიაღწევს ბავშვი თუ აქვს განვითარების ჩამორჩენა. მან მოგვცა რიგი მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელი რჩევები და მითითებები, როგორ უნდა მოიქცეს ქალი ორსულობის დროს. როგორ კვებოს, ჩააცვას და მოუაროს ახალშობილს. შემოგვთავაზა ხალხურ გამოცდილებასა და თანამედროვე მედიცინაზე დამყარებული კონკრეტული რეკომენდაციები. „ბავშვს, – წერდა კომენსკი, –უნდა შევუქმნათ ფიზიკური განვითარების პირობები. თუ საჭიროება არ მოითხოვს, არ უნდა შევუზღუდოთ მათ მოძრაობანი, პირიქით, უნდა განვუვითაროთ: თავის დაჭერის, დაჯდომის, აღების, მოღუნვის, გადაბრუნების, დაწყობის ჩვევები და სხვ. ჩვევებისა და უნარების დაუფლება უნდა ხდებოდეს აუცილებლად თამაშის ფორმით, რაც ბავშვის განვითარების ძირითადი საშუალებაა“ (5. გვ.112.). ზნეობრივი უნარების გამოსამუშავებლად, არაჩვეულებრივ გზას ხედავდა რელიგიურ აღზრდაში.მაგრამ ამის მიზანი მიზანი ღვთის მსახურებისათვის მზადება კი არ უნდა იყოს, არამედ ადამიანის ზნეობრივი პრინციპებისა და რეალური პირობების შეფარდება საზოგადოებრივ მოვლენებთან. ფასდაუდებელია კომენსკის რეკომენდაციები ისეთი თვისებების გამომუშავებისათვის, როგორიცაა მისწრაფება საქმიანობისადმი, შრომის სიყვარული, სიმართლე, სიფაქიზე, ზრდილობა და სხვა. კომენსკი თვლიდა, რომ პირადი მაგალითით მითითება ყველაზე კარგი იქნებოდა. არ გამორიცხავდა აღზრდის პროცესში შეგონებას ,საყვედურს. თუმცა,

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინააღმდეგი იყო ფიზიკური დასჯის.მიიჩნევდა, რომ მსგავსი მოქმედება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იყო დასაშვები. აღიარებდა ზომიერი და გონიერი დისციპლინის პრინციპს, ურჩევდა ბავშვებზე ემოქმედათ პირადი მაგალითით, გონიერი დარიგებებით, შეგონებით, საყვედურით. ფიზიკური დასჯა მიუღებელი იყო, გამოუვალი მდგომარეობის გარდა. კომენსკისთვის ზნეობრივ აღზრდასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომა. დიდი პედაგოგი გვასწავლის, რომ არანაირი შედეგი არ მიიღწევა, თუ არ ექნება ბავშვს შრომის სიყვარული. თუ არ გამოვუმუშავეთ მათ შრომითი უნარები, რასაკვირველია ასაკთან შესაფერისი, ძალიან გაგვიჭირდება სხვა უნარების ჩამოყალიბებაო-ამბობდა იგი.

კომენსკი სკოლამდელ ასაკს განიხილავდა, როგორც მომზადების პერიოდს სკოლაში სისტემატური სწავლებისათვის. ის თვლიდა, რომ დედათა სკოლა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბავშვში კონკრეტულ წარმოდგენათა დაგროვებას და დეტალურად მოხაზა ელემენტარულ ცოდნათა ფართო წრე გარე სამყაროს შესახებ, რომელსაც უნდა ფლობდეს სკოლამდელი ასაკის ბავშვი. ასე მაგალითად, ბუნებისმცოდნეობის სფეროში 7 წლის ბავშვმა უნდა იცოდეს, რა არის ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა, წვიმა, თოვლი, ყინვა, ტყვია; რკინა და ა.შ. გაარჩიოს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, იცოდეს როდის არის დღე გრძელი და როდის მოკლე. ბავშვმა მათემატიკაში უნდა ისწავლოს თვლა 20–მდე, უნდა იცოდეს კენტი და ლუწი რიცხვები, უნდა ესმოდეს, რომ 7 მეტია 5–ზე, აგრეთვე 15 მეტია 13–ზე, შეითვისოს თუ რა არის „გრძელი“, „მოკლე“, „განიერი“, „ვიწრო“, იცოდეს ძირითადი გამოსახულებანი – წრე, კვადრატი, ჯვარი, სიგრძისა და მოცულობის ძირითადი საზომები –ნაბიჯი, იდაყვი, მეოთხედი. გეოგრაფიული ცნებანი – თუ რა არის ქალაქი, სოფელი, მინდორი, ბაღი, უნდა იცოდეს თავისი სოფლის ან ქალაქის სახელი, ამის გარდა, უნდა იცოდეს წლის დროები, შესძლოს გაგება ტერმინების „საათი“, „დღე“, „კვირა“, „თვე“ და „წელიწადი“. კომენსკი გვასწავლის, როგორ გადავცეთ ბავშვებს მარტივად, მათთვის გასაგებ ენაზე გლობალური საკითხები ,როგორ ავუხსნათ ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის და სხვათა მნიშვნელობები.

იმისათვის, რომ მშობლები სწორი გზით წასულიყვნენ სააღმზრდელო პროცესში, კომნსკიმ მათთვის შექმნა არაჩვეულებრივი სახელმძღვანელო- „დედათა სკოლა“, ეს

გახლავთ პირველი ბრწყინვალე ცდა სკოლამდელი აღზრდის თეორიის შექმნისა, რომელმაც საფუძველი დაუდო გააზრებულ და ორგანიზებულ მუშაობას პატარა ბავშვებთან,ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

როდესაც ვსაუბრობთ სკოლამდელი აღზრდის საკითხების შესახებ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ შვეიცარიელი პედაგოგი–დემოკრატს ჰენრიხ ჰესტალოცი(1746–1827). ის ცხოვრობდა ფეოდალური წყობის რღვევისა და კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდში. ნახა ხალხის დიდი გაღატაკება და წინანდელი მორალური ნორმების დაცემა. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ სწორ აღზრდას შეეძლო არსებული სიტუაციის გამოსწორება.განათლებაში ხედავდა იგი დიდ ძალას.განათლების წინაპირობა კი სწორი აღზრდა და ნიჭია, რაც დროთაგანმავლობაში ვითარდება. იგი ხელმძღვანელობდა ბუნებრივი საზრიანობის პრინციპით. პედაგოგისაგან მოითხოვდა ბავშვების ასაკობრივ თავისებურებათა და შესაძლებლობათა გათვალისწინებას. პესტალოცი იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც მიისწრაფოდა სწავლება აეგო ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებაზე.იგი ემხრობოდა სწავლებას მარტივიდან - რთულისაკენ, ელემენტიდან – მთლიანობაზე, უახლოესიდან – შორეულზე. პესტალოცი აღზრდის სისტემის წინაშე აყენებდა ბავშვის ჰარმონიულ–ფიზიკური, შრომითი, ზნეობრივი და გონებრივი განვითარების ამოცანას. მან წამოაყენა „ელემენტარული ვარჯიშის“ სისტემა, რომელიც დამყარებულია ბავშვისათვის შედარებით ტიპურ ბუნებრივ მოძრაობაზე, მან წამოაყენა აგრეთვე საინტერესო იდეა შექმნილიყო „უნარის ანბანი“, რომლის განვითარების შედეგი გახდებოდა „ინდუსტრიული ვარჯიში“. ეს ვარ-ჯიში, მისი აზრით მოამზადებდა ბავშვს შრომითი საქმიანობისათვის (ქ. ჭკუასელი. ივ. ჭკუასელი 2012)

როდესაც პესტალოცი თავის ნაშრომებში საუბრობს გონებრივი აღზრდის როლზე, ამის აუცილებელ პირობად წარმოგვიდგენს თვალსაჩინოების მრავალფეროვნებას. შემეცნება ხომ გღძნობათა აღქმით იწყება, ამიტომაც ბავშვებში ყნდა ჩამოვაყალიბოთ დაკვირვების კულტურა. რიცხვი. ფორმა. სიტყვა (დასახელება) ყოველი საგნისათვის დამახასიათებელია. ისინი ყველაზე უბრალო ელემენტებია, ამიტომ საჭიროა პირველყოვლისა, ვასწავლოთ თვლა, გაზომვა, მეტყველება. პესტალოცმა დაამუშავა ბავშვებისათვის მშობლიური ენის პირველდაწყებითი

სწავლების, თვლისა და გაზომვის მეთოდიკა; ისე გააადვილა იგი, რომ ყველა გლეხის ქალს შეეძლო მისი გამოყენება შვილებთან მეცადინეობის დროს. მის მიერ პესტალოცს მთავარ და საუკეთესო აღმზრდელად დედა მიაჩნდა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირველდაწყებით ოჯახურ აღზრდას და ზრუნავდა მის სწორ მიმართულებაზე, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნაში -„წიგნი დედებისათვის, ან სახელმძღვანელო დედებისათვის, როგორ უნდა ასწავლონ ბავშვებს დაკვირვება და ლაპარაკი“. წიგნის მასალა უნდა დახმარებოდა დედებს, რათა მათ გაეფართოებინათ და მოეწესრიგებინათ ბავშვის წარმოდგენა გარესამყაროზე.

აქვე უნდა ვახსენოთ ჯონ ბელერსი (1654 – 1725 წწ) იგი სახოგადოებრივი აღზრდის მომხრე იყო.როგორც ბიოგრაფი გადმოგვცემს, მასშეუქმნია კოლეჯი,სწორედ საკუთარი გამოცდილებას გვიზიარებს. ბელერსი ასაბუთებს, რომ კოლეჯში აღზრდა შეერთებულია შრომასა და სწავლებასთან. მისი აზრით უდიდესი აღმზრდელობითი გავლენა ექნება ბავშვებზე შრომით დისციპლინას. ბავშვები როდესაც ხედავენ როგორ მუშაობენ და უფრთხილდებიან დროს სხვები, თავადაც თამაშის მაგიერ დაიწყებენ რაიმე წარმოების შესწავლას. სამუშაო მათთვის არუნდა იყოს ძნელი, რაკი დაინახავენ, თუ როგორ მუშაობენ სხვები, ისინი მიბაძავენ მათ, მიბაძვა კი მისცემს მათ რამდენიმე სიამოვნებას, რამდენსაც თამაში. ბელერსი დიდ მნიშვნელობას აძლევს აღზრდას და მას შესაძლებლად მიაჩნია აღზრდის გზით საზოგადოების გარდაქმნა.

ბელერსი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბავშვების გადატვირთვის. არ მოსწონდა საზეპირო მასალები, მეტად ინდივიდუალური აზროვნების განვიტარების მომხრე იყო. მოითხოვს ბავშვის მეტყველების განვითარებას. მას სურს, რომ სწავლება შეაერთოს საწაროო შრომასთან და გახადოს ის სახალისო. ამრიგად, ჯონ ბელერსის პედაგოგიკური შეხედულებები მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ მის მოსაზრებებში მნიშვნელოვანია აღზრდის განასაკუთრებული როლი პიროვნების ფორმირებაში, სწავლების საწარმოო შრომასთან დაკავშირება და პროტესტი სქოლასტიკური სწავლა - აღზრდის წინააღმდეგ. როგორც ე. მედინსკი აღნიშნავს 100 წლის შემდეგ რობერტ ოუენმა ჯონ ბელერსის ბროშურა სხვენიდან ჩამოიღო, რადგან მას განსაკუთრებით იზიდავდა სწავლების საწარმოო შრომასთან დაკავშირების იდეა. ოუენმა გამოსცა ბელერსის ბროშურა ათას ცალად და დაიწყო მისი პროპაგანდა.

მსოფლიოს მასშტაბით, პედაგოგები, რომლებიც დაკავებული იყვნენ სკოლამდელი აღზრდის პრობლემატიკით, ყოველთვის ეძებდნ თავიანთ საქმიანობაში განათლების და აღზრდის ახალ და უფრო სრულყოფილ მეთოდებს. სკოლამდელ აღზრდაში ბევრი ინტერნაციონალური მიმდინარეობა იყო თავმოყრილი: მაგ. რობერტ ოუენი (1771–1858) მიეკუთვნება გამოჩენილ სოციალისტ–უტოპისტების რიცხვს. მან წარმატებით განახორციელა მუშათა ბავშვების საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის პირველი ცდა. ოუენი იყო ნიუ–ლანარკის (შოტლანდია) ბამბის სართავი ფაბრიკის ჯერ მმართველი და შემდეგ მეპატრონეთაგანი. მან შეამცირა სამუშაო დღე 10.5 საათამდე (ნაცვლად 14–16 საათისა), აკრძალა სამუშაოზე ბავშვების მიღება 10 წლამდე, გაადიდა ხელფასი, ააგო ახალი სახლები, დიდ ყურადღებას აქცევდა ახალი ადამიანის ფორმრებას, რომელიც თავისუფალი იქნებოდა კაპიტალისტური წყობის მანკიერებისაგან. ამ მიზნით მან ნიუ–ლანარკში დააარსა „ხასიათის გამომუშავების ახალი ინსტიტუტი“, რომელშიც შედიოდა: ბავშვთა ბაგები –1–დან 3 წლამდე, „სკოლა პატარაბავშვებისათვის“ – 3–დან 5 წლამდე, დაწყებითი სკოლა ბავშვებისათვის –5–დან 10 წლამდე. ამ დაწესებულებათა ორგანიზაციას ორი მიზანი ჰქონდა, პირველი, დედა–მუშა ქალები თავისუფლდებოდნენ მუშაობის დროს შვილების მზრუნველობისაგან, მეორე, რ. ოუენი ისწრაფოდა, რაც შეიძლება ნაადრევად დაეცვა ბავშვები გარემოს ცუდი გავლენისაგან. დიდ ყურადღებას აქცევდა ბავშვებში აღეზარდა პატიოსნება, სამართლიანობა, ზრდილობა. იმ მიზნით, რომ ბავშვებში განევითარებინათ კარგი მანერები და გემოვნება, აცმევდნენ კარგად, ლამაზ, ეროვნულ შოტლანდიურ კოსტიუმებს ან თავისუფალ კაბებს, რომლებიც ძველ რომაულ სამოსელს მოგაგონებდათ, ასწავლიდნენ ცეკვასა და სიმღერას. ბავშვები დღის დიდ ნაწილს ბუნებაში, თამაშში ატარებდნენ. თამაშობის დროს აღმზრდელები ბავშვების ყურადღებას გარემო ბუნებაზე დაკვირვებას აქცევდნენ, შენობაში კი მათთან ტარდებოდა ძალდაუტანებელი, ლაღი საუბარი. ეცნობოდნენ მოწყობილობის საგნებსა და მათ მნიშვნელობას, მეცადინეობის დროს ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებას. დაწყებით სკოლაში შესვლამდე ბავშვებს არ ასწავლიდნენ კითხვას, რადგან რ. ოუენი წინააღმდეგი იყო ბავშვებისათვის ნაადრევად კითხვის დაწყებისა. ის თვლიდა, რომ ძალდაუტანებელი საუბრები, დაკვირვება ბუნებაზე, გაცნობა საგნებისა და რეალური

ცხოვრებისეული მოვლენებისა უფრო ეფექტური საშუალებაა მათი განვითარებისათვის . იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პედაგოგთა შერჩევას, პედაგოგთა მთავარ ღირსებად თვლიდა არა განათლებულობას, არამედ ბავშვის სიყვარულს, სიკეთეს და პატიოსნებას. სკოლამდელი აღზრდის სფეროში რ. ოუენის მოღვაწეობას მოწინავე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა.

ევროპაში ფართოდ გავრცელდა გერმანელი პედაგოგის ფრიდრიხ ფრებელის (1782–1852) სკოლამდელი აღზრდის თეორია. ფრებელი მიიჩნევდა ,რომ გარჯითი, შემეცნებითი, მხატვრული და რელიგიური საწყისებით მიიღწეოდა აღზრდა. მისი აზრით, აღზრდის მიზანია – გამოამჟღავნოს ბავშვში ჩასახული ღვთაებრივი საწყისი, რომელიც ახასიათებს ყველა ადამიანს; სწორედ ფრებელის ასეთმა მსჯელობამ მისცა საფუძველი ბუნებრივი საზრიანობის პრინციპს. მას მიაჩნდა, რომ აღზრდა ვერაფერს შემატებდა ბავშვს რაც აქვს უკვე ბუნებისგან .მას მხოლოდ განვითარება შეუძლია-წერდა იგი.

ფ. ფრებელი სკოლამდელ აღზრდას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. მასაც თა-მაში მიაჩნდა განვითარების ძირითადსაშუალებად. ფრებელი თვლიდა, რომ ბავშვის საქმიანობისა და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებ-ლად აუცილებელია აღვზარდოთ იგი თანატოლების გარემოში. მან მოგვცა ღრმა პედაგოგიური დასაბუთება ამ იდეებისა და ბევრი გააკეთა მისი პოპულარიზაციისა და ფართოდ გავრცელებისათვის. ფრებელმა შემოიღო ტერმინი „საბავშვო ბაღი“, რამაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა მთელ მსოფლიოში. სკოლამდელი დაწესებულებების ამ სახელწოდებაში და აგრეთვე იმაში, რომ აღმზრდელს ფრებელი უწოდებდა „მებაღეებს“, ნათლად გამოსჭვივოდა მისი სიყვარული ბავშვებისადმი; იგი მოუწოდებდა პედაგოგებს დახმარებოდნენ ბავშვს მომწიფებასა და განვითარებაში; მაღალ შეფასებას და მნიშვნელობას აძლევდა პედაგოგის მიზანმიმართულ ზეგავლენას. ფრებელმა საფუძველი დაუდო დიდაქტიკური თამაშების სისტემის საწყისებს და მრავალმხრივ საქმიანობას, შეიმუშავა მათი განხორციელების მეთოდური მითითებანი. მან მნიშვნელოვნად გაამდიდრა სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკა, დაამუშავა ბავშვებთან მუშაობის მრავალფეროვანი ხერხი ასაკის გათვალისწინებით.ფრებელმა დეტალურად გვიჩვენა ბავშვთა ადრეული და სკოლამდელი ასაკის მეტყველების ფორმირების

ეტაპები, მან წამოაყენა მოთხოვნა, რომ საგნის გაცნობას წინ უნნებულ მოსაზრებებში მრავალი უმნიშვნელოვანესი აზრია ბავშვებთან სხვადასხვა მასალაზე მუშაობის შესახებ (ჩხირი, მძივები, თივა, ქაღალდი) (.....)

მნიშვნელოვანი სიახლეები შემოიტანა აგრეთვე საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის იდეაში იტალიელმა ექიმ–ფსიქიატრმა და პედაგოგმა მარია მონტესორიმ (1870–1952) . ჩემს მიერ განხილულ პედაგოგიკის ფუძემდებელთა გარდა კიდევ ძალიან ბევრი შეიძლება დავასახელოთ,მაგრამ ახლა მიმოვიხილოთ ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსული. საინტერესოა, რა ხდებოდა ჩვენთან, როგორ განვითარდა და ჩამოყალიბდა აღზრდის ხელოვნება? ჩემს მიერ განხილული პედაგოგიკის, აღზრდის ქომაგების პარალელურად საქართველოში არცთუისე სახარბიელო მდგომარეობა სუფევდა.

ჩვენს ქვეყანაში 19-ე საუკუნის მეორე ნახევრამდე არ არსებობდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. 1827 წელს, თბილისის სამხედრო გუბერნატორმა სიპიაგინმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნა თბილისში ,,სააღმზრდელო სახლი,რომელიც პირველ ყოვლისა ,განკუთვნილი უნდა ყოფილიყო ,,უბედურ„ ახალშობილტათვის (АКТЫ, N 7,გვ.2) მაგრამ, ეს განზრახვა სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი.

სკოლამდელი აღზრდის შემდეგი დაწესებულება საქართველოში გაიხსნა 1865 წელს. ის ეკუთვნოდა თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებას და განკუთვნილი იყო ბავშვებისათვის ექვსი კვირის ასაკიდან 6 წლის ასაკამდე. ამ დაწესებულებასაც „თავშესაფარი“ ეწოდებოდა და განკუთვნილი იყო ღარიბი ფენის მოსახლეობისთვის. მშობლები, რომლებიც დღიური შრომით ირჩენდნენ თავს, ამ დაწეებულებაში შეეძლოთ შვილების მიბარება.

1868 წელს თბილისში დაუარსებიათ 2 საბავშვო ბაღი. ერთი კუკიის უბანში, მ. ჯაბადარის ქალის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე სოლოლაკში, ლიდია ლავრენკოს ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელს განაგებდა პედაგოგიური საბჭო. ორივე საბავშვო ბაღში იღებდნენ ორივე სქესის ბავშვებს 3-7 წლის ასაკში. მეცადინეობა მიმდინარეობდა სპეციალური, საბავშვო ბაღისათვის დამახასიათებელი პროგრამით.

საბავშვო ბაღების ქსელების გაფართოებასთან ერთად, ჩასახვას იწყებს სკოლამ-დელი აღზრდის თეორიაც. ივანე როსტომაშვილმა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№167) დაბეჭდა სტატია „სკოლა სეირნობისა, ანუ საბავშვო ექსკურსიატი“. იგი დაწვრილებით განიხილავს ფრებელის სისტემით მოწყობილი საბავშვო ბაღების მუშაობის შინაარსს და მის ნაკლოვან მხარეებად თვლის: „1. მრავალსაგნიანობა; 2. კარჩაკეტილობა; 3. ბავშვთა მოძრაობისა და თავისუფლების შეზღუდვა; 4.სიძნელე მისის წარმოებისა, რის გამოც თვით საგანგებოდ ამისათვის მომზადებულ მასწავლებელ ქალთაც კი უძნელდებათ საბავშვო ბაღის რამდენადმე მაინც ხეირიანად მართვა; 5.ძალად გართობა ბავშვებისა იმ საგნებსა და საქმეში, რომელიც ზოგიერთი ხასიათისათვის სრულიად უცხო და შეუფერებელია; 6. კარჩაკეტილობა და საკლასო მეცადინეობები. რასაკვირველია , მისასალმებელია კრიტიკა,სარკაზმი.მაგრამ, დადებითი მხარეების მიბაძვა ხომ შეეძლო ჩვენს ხალხს?

ჩვენს ქვეყანაში განათლების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით განათლება გამოცხადდა სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიულად პრიორიტეტულ მიმართულებად. აღზრდისა და სწავლების გონივრულად მოწყობილმა გარემომ ხელი უნდა შეუწყოს ინდივიდის ცნობიერების ფორმირებას, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას აზროვნებასა და ყოფაში, მისი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების განვითარებას. ხელი შეუწყოს ახალგაზრდების მზაობას დამოუკიდებელი ცხოვრებისადმი. აქედან გამომდინარე, პედაგოგიური პროცესი გახდა შეუვალი და განთავისუფლდა ზედმეტი ადმინისტრირებისაგან. შესაბამისად, საქართველოს განათლების სისტემა გადემოკრატიულდა, გაჰუმანურდა და მრავალფეროვანი გახდა. ჩამოყალიბდა ზოგად სახელმწიფო პრინციპები.

როგორც უკვე არაერთხელ ავღნიშნე, სკოლამდელი განათლება საფუძველია ბავშვის მომავალი განვითარების, წინსვლის. უმნიშვნელოვანესია ქვეყანაში, რომელსაც აქვს პრეტენზია განათლებაზე, ჰქონდეს გამართული, კანონმდებლობით გამყარებული სკოლამდელი განათლების სისტემა. დამეთანხმებით, საკმაოდ მწვავედ იდგა 90-იანი წლების საქართველოში ბავშვთა ადრეული ასაკის განათლების საკითხი.. ფაქტობრი-ვად, არ არსებობდა ერთი სტანდარტი ან პროგრამა, რომელიც გახდებოდა ამ დაწესე-ბულებებში წარმართული სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის საფუძველი ამავე

პერიოდისათვის დამახასიათებელია კერძო საბავშვო ბაღების მომრავლება. ცხადია, მათი ჰიგიენური ნორმების, სასწავლო და სააღმზრდელო პროცესების კონტროლის მექანიზმი სახელმწიფოს არ გააჩნდა და, თუნდაც შეემუშავებინა, მისი განხორციელებისას მნიშვნელოვან სირთულეებს გადააწყდებოდა.

ჩემს მიერ მოპოვებული ინფორმაცის თანახმად, 1994 წელს საქართველომ დაადასტურა ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით, რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდის სრულყოფილ განვითარებას. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს ეხმიანება და საზოგადოების ფართო წრისთვის არის შექმნილი.

სწორედ ამ დროს, კერძოდ 1998 წლიდან საქართველოში დაინერგა,, ნაბიჯ-ნაბიჯ'' პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩაენაცვლებინა იმდროინდელი ავტორიტარული სწავლება ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით, რაც ჩემი აზრით წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.როგორც ჩანს, სწორედ ამ რეგრესულმა ტენდენციამ გადააწყვეტინა სახელმწიფოს შეემუშავებინა და გამოეცა ბრძანება ,,სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ“. აღნიშნული ქმედება, რა თქმა უნდა, ვერ მოხსნიდა ყველა იმ პრობლემას, რომელიც იმხანად სკოლამდელი განათლების სფეროში სუფევდა, მაგრამ საკითხის დასმა და მის მოგვარებაზე სახელმწიფო დონეზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად მნიშვნელოვან წინსვლად უნდა მივიჩნიოთ. მოგვიანებით საქართველოში მომხდარმა და მიმდინარე ამგვარმა ცვლილებებმა გამოიწვია სკოლამდელ დაწესებულებათა ტიპებისა და სახეებისადმი სხვა კუთხით მიდგომა.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან გაუმჯობესებული ეკონომიკისა და განათლების დაფინანსების ზრდის ფონზე სკოლამდელ განათლებაზე მოთხოვნაც გაიზარდა. UNICEF-ის მონაცემებით 2005 წლისათვის, საქართველოში სკოლამდელი განათლების 3-5 წლის ასაკის ბავშვების დაახლოებით 43% სწავლობდა. სკოლამდელი დაწესებულებების დიდი წილი უფრო მეტად ქალაქზე მოდიოდა. საქართველოში მშობლების უმრავლესობისათვის საბავშვო ბაღი ძირითადად ბავშვის უსაფრთხო

გარემოში დატოვებისა და არა ბავშვის განვითარებისათვისა და აღზრდისათვის აუცილებელი საშუალებას წარმოადგენს. რაც შეეხება სამართლებრივ საფუძვლებს, 2006 წლამდე სკოლამდელი განათლების მართვა ცენტრალურ დონეზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ხდებოდა.

2006 წლიდან განხორციელდა სისტემის დეცენტრალიზაცია და სკოლამდელი განათლების სფეროს მართვა და დაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობის ქვეშ მოექცა. არ არსებობდა ბავშვის განვითარების სტანდარტი, არც საგანმანათლებლო პროგრამის სახელმღვანელო დოკუმენტი და სწავლა-აღზრდის განსაზღვრული მეთოდოლოგია. ამ წელს მოხდა სკოლამდელი განათლების სისტემის რეორგანიზაცია და შედეგად ადგილობრივ თვითმმართველობებს დაეკისრათ სკოლამდელი განათლების დაწესებულების შექმნის, მათი დებულებების დამტკიცების, საქმიანობის მართვისა და დაფინანსების ვალდებულება.

2007 წლიდან კი, პროფესიული საზოგადოების მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პრობლემებზე. მართალია, არ შემუშავებულა სკოლამდელი განათლების ერთიანი კონცეფცია, მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და UNIßEF-ის ძალისხმევით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების სტანდარტზე მუშაობა. მოგვიანებით, სტანდარტებს საფუძვლად დაედო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის 958 ბრძანებით დამტკიცებული სკოლამდელი განათლების ეროვნული მიზნები. ამ დოკუმენტის ძირითადი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში,რომ იგი შედეგზეა ორიენტირებული: ჯერ განსაზღვრულია შედეგი,რომელსაც ბავშვმა გვინდა რომ მიაღწიოს,ხოლო ამის შემდეგაა დასახული გზები,რითაც მიიღწევა სასურველი შედეგი. სტანდარტის ამგვარი სტრუქტურა ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომისა და საგანმანათლებლო პროგრამის ,მისი საჭიროებიდან გამომდინარე ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა. აღმზრდელი უნდა დააკვირდეს ბავშვს და შეურჩიოს შესაპერისი აქტივობები სტანდარტიდან გამომდინარე.ისეთი აქტივობა უნდა იქნეს შერჩეული პედაგოგის მიერ, რომელიც ხელს შეუწყობს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

სკოლამდელი განათლების ხარისხიანად განვითარების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შეიქმნა სკოლამდელი განათლების სამმართველო. როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტორს ვებ-გვერდზეა (mes.gov.ge) გაცხადებული სამმართველოს მიზანია:

- ✓ სკოლამდელი განათლების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება;
- ✓ მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა და დახმარება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მართვისა და ორგანიზების საქმეში;
- ✓ სკოლამდელი დაწესებულებების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა და მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება;
- ✓ სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ✓ თითოეული ბავშვის სკოლისათვის მომზადება და მათთვის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ოცდამეერთე საუკუნის დასაწყიში შეიქმნა:

1. „სკოლამდელი განათლების ვებ-გვერდი www.preschooleducation.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია, როგორც ზოგადად სკოლამდელი განათლების, ასევე დრეული განათლების კუთხით საერთაშორისო კონფერენციების შესახებ. ადრეული განათლებით დაინტერესებულ პირებს ეძლევა საშუალება, რომ გაეცნოს საკონფერენციო თემებს, პრეზენტაციებს და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებულ პუბლიკაციებს.აგრეთვე, სკოლამდელი განათლების მონაცემთა ბაზა, რომელშიც განათავსებულია ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით არსებული საბავშვო ბაღებისა და იქ არსებული მდგომარეობის შესახებ; გამოიცა მეთოდური სახელმძღვანელოები სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა და სპეციალისტთათვის: ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, სკოლამდელი ასაკის ბავშვის შეფასების ფორმა, თამაშები და აქტივობები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის გზამკვლევი, სკოლამდელი დაწესებულებების ფიზიკური გარემო, სახელმძღვანელო

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის შესასწავლად;

აგრეთვე, 2015 წელს მომზადდა კანონპროექტი: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ , რომელიც როგორც კანონი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 8 ივნისს. კანონით გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა: ადრეული განათლება და ზრუნვა დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, სკოლამდელი განათლება 2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვლამდე.

თითოეული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას ყველა ბავშვისათვის, ანუ საგანმანათლებლო მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ხარისხიან განათლებას დაწსებულებებში მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. მიუხედავად მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული, თუ სხვა მახასიათებლებისა. კანონით სააღმზრდელო დაწესებულებებში აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათშორის ფიზიკური დასჯა, უგლვებელყოფა, შეურაცხმყოფელი ანდა დამამცირებელი მოპყრობა. განმტკიცებულია ერთერთი ძირითადი პრინციპი განათლების მომსახურებაში მშობელთა სრული ჩართულობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში იქმნება საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ დაწესებულებების ეფექტურ ფუნქციონირებას და სხვა ....

2014 წელს, განათლების და მეცნიერების სამინისტროში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2014-2015 სასწავლო წელს სასკოლო ასაკის ის ბავშვები შეძლებდნენ სკოლაში შესვლას, რომელთაც 6 წელი 2014 წლის 31 დეკემბრამდე უსრულდებოდათ. ხოლო, 2015-2016 წლიდან კი, სასკოლოდ ჩაითვლებოდა ის ბავშვი, რომელსაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდებოდა 6 წელი.

ჩემი აზრით, ეს გააწყვეტილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია უახლოესი წარსულის რეფორმებს შორის. მთელი რიგი კვლევების დასკვნებზე დაყრდნობით, ცხადი გახდა ,რომ ბავშვები 5 წლის ასაკში ვერ აფიქსირებენ სასკოლო მზაობას.მათი წარმატებული მომავლისათვის და ქვეყნს საკეთილდღეოდ ნამდვილად დროული გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის მთავრობამ. თუმცა, ამ გადაწყვეტილებასაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. საყოველთაო განხილვის საგნად იქცა რეფორმის სისწორე. განსაკუთრებით მშობელთა ის ნაწილი აპროტესტებდა სიახლეს, ვისი შვილიც რამოდენიმე დღის გამო რჩებოდა სკოლის გარეთ. გაჩნდა შეკითხვები, სად უნდა წაეყვანათ თვეების განმავლობაში სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვები? ფაქტობრივად,მათ ხომ დამთავრებული ჰქონდათ საბავშვო ბაღის სააღმზრდელო პროცესი.

2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა **"სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი"**. რომელიც ეხმარება მასწავლებლებს და მშობლებს შეუქმნან ბავშვებს ასაკობრივად შესაფერისი გარემო. მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია და აქტივობები.

ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტების მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიურ განვითარებას; ხელი შეუწყოს მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სასკოლო მზაობას. ეს დოკუმენტი იმიტომ არის უნიკალური ,რომ გაწერილია შედეგი და მისაღწევი გზები. სტანდარტის სტრუქტურა ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომისა და საგანმანათლებლო პროგრამის მისი საჭიროებების მიხედვით ამოქმედების შესაძლებლობას გვაძლევს. აღმზრდელს შეუძლია იხელმძღვანელოს სტანდარტით, დააკვირდეს ბავშვს და შეურჩიოს ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

სტანდარტების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას მშობელთა დამხმარე პროგრამები.აგრეთვე, სტანდარტების დოკუმენტი საფუძვლად დაედოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამას და მასწავლებელთა

მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს. სტანდარტების გამოყენება შეუძლიათ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს პროფესიონალებსაც.

დოკუმენტში წარმოდგენილია ბავშვის განვითარების ხუთი სფეროო: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება და სოციალურ-ემოციური განვითარება. ყოველი სფერო ქვესფეროებს მოიცავს, რომლებიც, თავის მხრივ, მიმართულებებს აერთიანებს. თითოეულ მიმართულებაში განსაზღვრულია შედეგები. შედეგი არის ბავშვის განვითარებაში დასახული კონკრეტული მიზანი. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვის განვითარების მიზნები უცვლელია. მიზნის მიღწევაზე ზრუნვა გრძელდება ზოგადი განათლების მიღების ბოლო ეტაპამდე, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როგორც უნარ-ჩვევების, ასევე დამოკიდებულებებისა და ღირებულებების განვითარებისათვის საფუძვლის ჩაყრა ადრეული ასაკიდანვე დაიწყოს. ამდენად, სტანდარტებში განსაზღვრული შედეგები დაბადებიდან 6 წლამდე არ იცვლება. იმისათვის, რომ კონკრეტულ ასაკში ვიცოდეთ, რა უნდა კეთდებოდეს თითოეული შედეგის მისაღწევად, თითოეული შედეგისათვის განსაზღვრულია ინდიკატორები. სწორედ ინდიკატორი არის შედეგის მიღწევის მაჩვენებელი და ასაკის მიხედვით განვითარების დონის შესაბამისად იცვლება. http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/structure-of-the-standard

2.2. სასკოლო ასაკის მნიშვნელობა სასწავლო პროცესის მზაობისათვის

სასკოლო სწავლების დაწყების ასაკის განსაზღვრა , განათლების სისტემაში , ყოველთვის იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საკამათო საკითხი. ეს თემა საყოველთაო განხილვის საგნად იქცა, შესაბამისად გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია. ორივე მხარეს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტი ჰქონდა ,მაგრამ, ცხადია საინტერესოა სპეციალისტების და კვლევების დასკვნა. არის თუ არა 6 წლამდე ბავშვი მზად სკოლისათვის? უპირველეს ყოვლისა, გვახსენდება

ცნობილი ფსიქოლოგის, ბრუნერის მოსაზრება, რომ ბავშვს ყველაფრის ათვისება შეუძლია, გააჩნია როგორ, როდის და რა დოზით მივაწვდით ინფორმაციას.

ჩვენს ქვეყანაში სასკოლო ასაკის განსაზღვრას არასტაბილური სახე ჰქონდა უახლოეს წარსულში . 2010 წლამდე მშობლის სურვილზე იყო დამოკიდებული შეიყვანდა თუ არა შვილს სკოლაში 5 წლისას. განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკი 5 წლით 2010 წლიდან განისაზღვრა. ჩემი აზრით, ეს არის დიდი დანაშაული თაობების წინაშე. გაუაზრებელი, დაუგეგმავი რეფორმა, რომლის შედეგსაც დღემდე ვიმკით. შედეგათ მივიღეთ სასკოლო მზაობის დაბალი დონე 5 წლის პირველ კლასელებში. დაუძლეველი პროგრამა და დაკარგული მოტივაცია. ამ კანონმა საკმაოდ დიდხანს გასტანა. როგორც უკვე ავღნიშნე, 2014 წელს, განათლების და მეცნიერების სამინისტროში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2014-2015 სასწავლო წელს სასკოლო ასაკის ის ბავშვები შეძლებდნენ სკოლაში შესვლას, რომელთაც 6 წელი 2014 წლის 31 დეკემბრამდე უსრულდებოდათ. ხოლო, 2015-2016 წლიდან კი, სასკოლოდ ჩაითვლებოდა ის ბავშვი, რომელსაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდებოდა 6 წელი.თუმცა, თითქმის 4 წელი იყო საზოგადოება გაურკვევლობაში. ერთია კანონი და რეფორმა, მეორე მხარეს კი არის პრაქტიკა და დაკვირვება.

,,ხშირად, მშობლები, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ 5 წლის ბავშვი სკოლაში შეიყვანონ, აცხადებენ რომ მათმა შვილმა საბავშვო ბაღში უკვე ყველაფერი მიიღო, რისი მიღებაც შეიძლებოდა და ახლა სკოლაში წასვლის დროა. ძალიან სამწუხაროა, რომ მშობლების ამგვარ პოზიციას ხშირად საბავშვო ბაღების ხელმძღვანელები და აღმზრდელებიც იზიარებენ და აცხადებენ, რომ ბავშვმა, რომელიც 5 წლამდე საბავშვო ბაღში დადიოდა, გაიარა და მთლიანად ამოწურა ბაღის პროგრამა. ამდენად, თუ ის კვლავ საბავშვო ბაღში დარჩება, მას მეორედ მოუწევს ამავე პროგრამის გავლა, რაც გაართულებს მის დაინტერესებას. აღნიშნული ვარაუდი ძალიან სუსტი არგუმენტია იმისათვის, რომ 5 წლის ბავშვი საბავშვო ბაღში აღარ ვატაროთ და აუცილებლად სკოლაში შევიყვანოთ. ’’(http://mastsavlebeli.ge/?p=1717)

ჩემი აზრით, აქ უფრო იკვეთება საბავშვო ბაღების პროგრამის პრობლემა. იმდენად დიდი და მრავალფეროვანია სკოლამდელი პროგრამა, წარმოუდგენელია

ამოწუროს ბავშვმა ერთ ან ორ წელში . ფსიქოლოგებისა და ექიმების დასკვნების, სხვადასხვა უცხოური თუ ადგილობრივი კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ 5 და 6 წლის ასაკს განსხვავებული განვითარების საფეხური გააჩნია. ამ ასაკში თითოეულ თვესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ემოციურ-ინტელექტუალური განვითარე-ბისათვის. თუ 5 წლის ბავშვს ჯერ კიდევ თამაში იზიდავს, 6 წლის ბავშვი ხშირად არის დაკავებული ხატვით, ძერწვით, კონსტრუირებით, რაც უკვე მიუთითებს სასკოლო პროცესისსთვის მზაობას. 6 წლის ასაკში უფრო განვითარებულია კოგნიტური და ნებელობითი უნარები, ვიდრე 5 წლის ასაკში. სკოლაში ბავშვი ხვდება რადიკალურად განსხვავებულ, სტრუქტურირებულ, ახალი მოთხოვნებით და პასუხისმგებლობებით გაჯერებულ გარემოში, რაც 5 წლის ბავშვისთვის უფრო რთული დასაძლევია, ვიდრე 6 წლის ბავშვისთვის.

მშობელთა კომენტარის საპირისპიროდ, მოვიძიე ინტერვიუ პედაგოგებთან,24 ე საჯარო სკოლის დირექტორი, ბატონი გია მურღულია აცხადებდა, რომ არ ემხრობოდა 5 წლიანი ბავშვების სკოლაში შეყვანის აზრს. მეტიც, გამოცდილებიდან ამბობდა, რომ სასკოლო აქტივობისათვის მზად იყო მოსწავლეთა 10 %. მაგრამ, ჩნდება დამატებით პრობლემა. ის ,ვინც მზად არის ფსიქოლოგიურად, ემოციურად სასკოლო ცხოვრებისთვის, მაინც ჭირდება განსხვავებული მისთვის ადაფტირებული გარემო, სახელმძღვანელოები და მეთოდიკა რასაკვირველია. და რა ხდებოდა ჩვენთან? 5- 6 წლიანი ბავშვები ერთნაირ პირობებში იწყებდნენ სასკოლო ცხოვრებას. უარყოფითად შეხვდნენ დაწყებითი კლასის პედაგოგებიც 5 წლიანი ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის რეფორმას.ისინი თვლიდნენ, რომ წარმატების მომტანი არ იქნებოდა ასაკობრივი აღრევა. განვითარების დონით აშკარა განსხვავებას ხედავდნენ და ბევრ სირთულეს აწყდებოდნენ წლების მანძილზე.

სწავლა-სწავლების ძირითადი მიზანი ის არის ,რომ იქცეს განვითარების ხელშემწყობად. დაუფიქრებელმა და გაუაზრებელმა რეფორმამ და მიმბაძველობამ შეშაძლოა სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს. ჩვენ , ზოგადად გვჩვევია უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მიბაძვა. თუმცა, სერიოზულ გადაწყვეტილებას აუცილებლად უნდა დაფიქრება და საკითხის სიღრმისეული შესწავლა. მაგალითად დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიის ზოგიერთ შტატში სწავლის დაწყების ასაკი 5 წელია.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი,რომ საზღგარგარეთ სკოლაში შესვლის მომენტისთვის ბავშვის მზაობის შეფასება სავალდებულო პროცესია. თანამედროვე მკვლევარები მიიჩნევენ, რომ სასკოლო მზაობის შეფასება მხოლოდ სკოლაში ბავშვის მისაღებად კი არ უნდა ტარდებოდეს, არამედ თითოეული ბავშვის საჭიროებების განსაზღვრა სკოლის ცხოვრებაში დაუბრკოლებლად გადასვლისთვის და შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზებისთვის.

5 წლის ბავშვის სკოლაში შეყვანას, ცხადია მოჰყვება პრობლემები. ამ ასაკის ბავშვი ჯერ კიდევ არ არის მზად გონებრივად, ფსიქოლოგიურად მიჰყვეს საგაკვეთილო მსვლელობას. შესაძლოა, ძალიან მალე სწავლა მისთვის ერთგვარ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. თუმცა ,შესაძლებელია , პრობლემამ დასაწყისში კი არა, სწავლის დამთავრების შემდგომ იჩინოს თავი. 5 წლის ბავშვი ჩამორჩება 6 წლისას განვითარებაში, ამას გრძნობს თავად და განიცდის. ეს განცდა თრგუნავს მას,რაც უარყოფითად აისახება ბავშვის როგორც ქცევაზე, ასევე სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე. მშობელთა უმრავლესობა, ვისაც აქვს სურვილი შეიყვანოს ბავშვი სკოლაში ასახელებს მიზეზად სწავლის სურვილს და ინტერესს. ,, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლა არ იწყება და არც მთავრდება სკოლით. ჯერ კიდევ საკმაოდ ადრეულ ასაკში, შემეცნებითი ინტერესებისა და ცნობისმოყვარეობის წყალობით, ბავშვი ძალიან ბევრ რამეს სწავლობს თამაშის, ასევე გარშემომყოფ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობის პროცესში. ამასთან, ხშირად ეს პროცესი იმდენად ბუნებრივად, ბავშვისთვის სახალისოდ და სასიამოვნოდ მიმდინარეობს, რომ უფროსები ვერც კი აფიქსირებენ, თუ როდის, რა მომენტში შეიძინა ბავშვმა გარკვეული ცოდნა ან გამოიმუშავა ესა თუ ის უნარი. მაგრამ, თუ ჩვენ ამ პერიოდში ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნების პროცესს სასკოლო სწავლების სახეს მივცემთ, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ნებელობის განვითარების გარკვეულ დონეს საჭიროებს და ასევე სასკოლო წესებისადმი მკაცრ მორჩილებას მოითხოვს, შემეცნებითი ინტერესი – ახლის გაგების და მიღების სურვილი ბავშვში შეიძლება შესუსტდეს ან მთლიანად გაქრეს კიდეც. ასე რომ, თუ ჩვენ ბავშვს სკოლაში მხოლოდ სწავლისადმი ინტერესის გამო შევიყვანთ და არ გავითვალისწინებთ სკოლისათვის მისი სოციალური და ფიზიკური მომზადების დონეს, შესაძლოა შემეცნებითი და სწავლისადმი ინტერესი მას მალე

გაუქრეს და პირველ დღეს სკოლაში სიხარულით წასულმა რამდენიმე დღეში გამოგვიცხადოს, რომ მას სწავლა აღარ უნდა და სკოლაშიც არ წავა. ’’(http://mastsavlebeli.ge/)

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წელს „სოციალური კვლევის და ანალიზის ინსტიტუტმა“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დაკვეთით, 5 წლის ასაკის მოსწავლეების სწავლის პრობლემები შეისწავლა. კვლევის მიხედვით, 5 წლის ბავშვებს სწავლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან.

„5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვას მოჰყვა ბევრი პრობლემა, რომელთაგან ნაწილმა უკვე იჩინა თავი და ნაწილი დროთა განმავლობაში გამოვლინდება. 5 წლის ბავშვის სწავლების პრობლემა უკავშირდება არა იმას, რომ ამ ასაკის ბავშვს არ შეიძლება ვასწავლოთ, არამედ მათ უნდა ვასწავლოთ განსხვავებული მიდგომებით, რომელიც არაერთ დასავლურ ქვეყანაშია დანერგილი, თუმცა ამ ეტაპზე უცხოა ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის და საჭიროებს ძალიან დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზებას. ამიტომ, ამ ეტაპზე არარეკომენდირებულია 5 წლის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვა, იქამდე სანამ არ ჩატარდება მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაოები",- წერია კვლევაში.

აღნიშნულ კვლევაში ნათლადაა წარმოდგენილი ექსპერტ-სპეციალისტების მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.ისინი ბავშვის სკოლისათვის მზაობას მრავალი კომპონენტით ახასიათებენ:

- სოციალური მზაობა,
- ფსიქო-ემოციური მზაობა,
- ნატიფი მოტორიკა
- ინტელექტუალური მზაობა
- აკადემიური ჩვევები,
- ფსიქიკური უნარი.

ფსიქოლოგების თქმით, ზემოთ ჩამოთვლილ უნარები ძირითადად 6 წლის ასაკში ვითარდება.ცხადია,არ უნდა გამოირიცხოს ცალკეული შემთხვევები,როდესაც ბავშვი 5 წლის ასაკში აკმაყოპილებს სასკოლო მზაობის კრიტერიუმებს.ამიტომაც,პედიატრი ეთანხმება ბავშვების ინდივიდუალურ შემოწმებას.სპეციალისტები მიიჩნევენ,რომ 4-5 წლის ბავშს უნდა ვასწავლოთ განსხვავებული მეთოდებით ,არა ისე რასაც ქართული სკოლა გვთავაზობს.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ბავშვების სკოლისათვის მზაობის განსასაზღვრად ფსიქოლოგებს, პედიატრებს და სხვა ექსპერტებს განსხვავებული კრიტერიუმები აქვთ. ფსიქოლოგები ბავშვის სკოლისათვის მზაობაში აქცენტს აკეთებენ სოციალურ, ფსიქო–ემოციურმზაობაზე, ინტელექტუალურ მზაობაზე. ასევე ითვალისწინებენ აკადემიურ უნარ–ჩვევებს, ფსიქიკურ უნარ–ჩვევებს, მოტორიკის განვითარების დონეს. აღნიშნული მაჩვენებლებითძირითადად 5 წლის ბავშვები ჩამორჩებიან 6 წლის ბავშვებს. ექსპერტების ნაწილი მომხრეა ბავშვების სკოლისათვის მზაობის ინდივიდუალურ შეფასების. ნაწილი კი მიიჩნევს,რომ შესაძლებელია , რომ 4-5 წლის ბავშვს ვასწავლოთ შესაბამისი მეთოდების გამოყენებით და აღარ გახდება საჭირო ინდივიდუალური შეფასება.

გარდა ამისა, არაერთი მაშტაბური კვლევა ჩატრდა ბოლო წლების მანძილზე. თითქმის ყველგან აღნიშნულია,რომ სასკოლო მზაობა არაა სათანადოდ აღქმული ჩვენს ქვეყანაში. მშობლები არ არიან საკმარისად გაცნობიერებული კონკრეტულ საკითხში, რაც არის მიზეზი ბავშვების არასწორი მზაობისა სასკოლო ცხოვრებაში.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ ჩატარებულია კვლევა,რომლის პარგლებშიც მოხდა პირველ კლასელთა სასკოლო მზაობის შეფასება საქართველოს მაშტაბით. აღნისნული კვლევა განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით.ამ კვლევის დასკვნებში ვხვდებით შემდეგ თეზისებს:

- ✓ ,,ბავშვთა 52.9% სწორად აღიქვამს წერტილებით წარმოდგენილ ნახატს და აერთებს ხაზებით.

- ✓ 6წლის ასაკის ბავშვები უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე 5 წლის ასაკის ბავშვები.”
- ✓ უხეში მოტორიკის სფეროში არ ვლინდება სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა 5 და 6 წლის ასაკის ბავშვთა შორის, ნატიფი მოტორიკის ძირითადი დავალებების მიხედვით, რომლებიც საჭიროებენ თვალისა და ხელის კოორდინაციას, გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი ასაკთან მიმართებაში. 6 წლის ასაკის ბავშვები უკეთ ახერხებენ ნატიფი მოტორიკის დავალებების შესრულებას, ვიდრე 5 წლის ასაკის ბავშვები.
- ✓ სიტყვების ბგერებად ანალიზი უშეცდომოდ შეასრულა ბავშვების მხოლოდ 17%-მა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია სასკოლო მზაობის თვალსაზრისით.
- ✓ მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა 5 და 6 წლის მოსწავლეთა შორის შემდეგ დავალებებში: კვირის დღეების ცოდნა, ხილის ჩამოთვლა, თვლის პროცესი, არითმეტიკული ოპერაციების განხორციელების უნარი, ტექსტის დამახსოვრება და რეპროდუქცია, განზოგადების უნარი.
- ✓ მშობლის კითხვარისა და ბავშვზე დაკვირვების ინსტრუმენტში შესული დავალებების შედარებისას სანდო განსხვავება დაფიქსირდა 5 და 6 წლიან მოსწავლეებს შორის თვლის, არითმეტიკული ოპერაციების, ტექსტის დახსომებისა და რეპროდუქციის, თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების ოპერაციების განხორციელების უნარის საკვლევ დავალებებში. ვინაიდან აღნიშნული უნარები გონებრივი მზაობის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, მიზანშეწონილია სასწავლო პროგრამებში 5 წლიანთა შესაძლებლობებისგათვალისწინება და პედაგოგთათვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება 5წლიანთასწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით. “(„სასკოლო მზაობის შეფასება „ 2011წ)

§2.3 „სასკოლო მზაობის პროგრამა“

2014 წელს, განათლების და მეცნიერების სამინისტროში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც 2014-2015 სასწავლო წელს სასკოლო ასაკის ის ბავშვები შეძლებდნენ სკოლაში შესვლას, რომელთაც 6 წელი 2014 წლის 31 დეკემბრამდე უსრულდებოდათ. ხოლო, 2015-2016 წლიდან კი, სასკოლოდ ჩაითვლებოდა ის ბავშვი, რომელსაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდებოდა 6 წელი.

ჩემი აზრით, ეს გააწყვეტილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია უახლოესი წარსულის რეფორმებს შორის.მთელი რიგი კვლევების დასკვნებზე დაყრდნობით, ცხადი გახდა, რომ ბავშვები 5 წლის ასაკში ვერ აფიქსირებენ სასკოლო მზაობას.მათი წარმატებული მომავლისათვის და ქვეყნს საკეთილდღეოდ ნამდვილად დროული გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის მთავრობამ. თუმცა, ამ გადაწყვეტილებასაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. საყოველთაო განხილვის საგნად იქცა რეფორმის სისწორე. განსაკუთრებით მშობელთა ის ნაწილი აპროტესტებდა სიახლეს, ვისი შვილიც რამოდენიმე დღის გამო რჩებოდა სკოლის გარეთ. გაჩნდა შეკითხვები, სად უნდა წაეყვანათ თვეების განმავლობაში სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვები? ფაქტობრივად, მათ ხომ დამთავრებული ჰქონდათ საბავშვო ბაღის სააღმზრდელო პროცესი.

სასკოლო მზაობის პროგრამა თამაშ-თამაშით სწავლების საშუალებით, 5-6 წლის ასაკის ბავშვების სკოლისათვის მომზადებას ითვალისწინებს. იგი ხელს უწყობს აღსაზრდელის მრავალმხრივ განვითარებას; მოტორული, სოციალური, ემოციური, მეტყველებისა და შემეცნებითი უნარების გამომუშავებას. ბავშვი მომზადებული იქნება პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის. იგი ეხმარება თითოეულ მათგანს, მაქსიმალურად განივითაროს თავისი პოტენციალი და ჩამოუყალიბდეს საჭირო უნარ-ჩვევები მომავალი ცხოვრებისა და წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის. სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც 30 კვირის განმავლობაში დღეში სამ საათიან დატვირთვას ითვალისწინებს, საბავშვო ბაღების უფროსი ასაკის ჯგუფებში განხორციელდება. ბავშვები, რომლებიც

არ დადიან საბავშვო ბაღში, საჯარო სკოლის შენობებში სპეციალურად გახსნილ სასკოლო მზაობის ჯგუფებში მოემზადებიან. სამინისტრომ სასკოლო მზაობის პროგრამის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად ბაღების ინფრასტრუქტურა აღრიცხა. იქ, სადაც აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად თავისუფალი სივრცე არ მოიძებნა ,გამოიყენეს საჯარო სკოლების რესურსი.

სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით დაიწყეს სასკოლო მზაობის პროგრამის მონიტორინგის სისტემის შექმნა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული პროგრამა ცხადია არის ნებაყოფლობითი და მშობლის სურვილზეა დამოკიდებული, გამოიყენებს თუ არა მას.

სასკოლო მზაობის პროგრამა დატვირთულია სააზროვნო თამაშებით და აქტივობებით, რომლებიც საინტერესო და სახალისოა. ეს ყოველივე აჩვევს ბავშვებს თავად შეიმუშავონ წესები და დაემორჩილონ სოციალურ წესებს, უბიძგებს იყვნენ გამომგონებლები და შემოქმედებითები, უვითარებს კრიტიკულ აზროვნებასა და უძლიერებს ძირითად სასიცოცხლო უნარ-ჩვევებს, აწვდის ინფორმაციას პირადი უსაფრთხოების შესახებ და სხვა.

პროგრამაში მოცემულია კონკრეტული რჩევები დღის, კვირის და თვის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებისათვის, ასევე ღირებულ რესურსს სთავაზობს აღმზრდელს თემების ჩამონათვლის და მათი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების სახით. გაეროს ბავშვთა ფონდისა და ორგანიზაცია ,,ვორლდ ვიჟენ - საქართველოს“ ხელშეწყობით შეიქმნა სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელის გზამკვლევი, სასკოლო მზაობის პროგრამის ყოველკვირეული აქტივობების კრებული, ტრენინგ მოდული აღმზრდელ-პედაგოგებისათვის, ფიზიკური და საგანმანათლებლო გარემოს მოწყობისთვის საჭირო მასალებისა და რესურსების სარეკომენდაციო ჩამონათვალი (იხ: http://ncp.ge/ge/preschool-education/general-part/damkhmare-sakhelmdzghva-neloebi).

თავი 3 . სკოლისათვის მზაობის საერთაშორისო გამოცდილება

იდეა საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის განვითარების აუცილებლობის შესახებ პირველად ჩამოაყალიბეს სოციალ–უტოპისტებმა, რომლებიც ცდილობდნენ შეექმნათ სრულყოპილი საზოგადოება. მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნის შუა ხანებში, დაისვა საკითხი საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდის მნიშვნელობაზე მანამდე რატომღაც, არავინ დაფიქრებულა ამ პენომენის მნიშვნელობასა და როლზე. ეს საკითხი განიხილებოდა როგორც უმნიშვნელოვანესი საშუალება ქალის საერთაშორისო ასპარესზე გასასვლელათ და ასევე როგორც უმნიშვნელოვანესი გარანტი სასკოლომზაობის.

ადამიანის განვითარების უხსოვარ ეტაპზე, პირველყოფილი წყობილების დროს ცხოვრებისათვის ბავშვების მომზადების ძირითადი საშუალება იყო თამაშობანი პრიმიტიული სათამაშოებით: სამონადირეო და შრომით იარაღებით. ამიტ ისინი ბაძავდნენ უფროსების საქმიანობას. მორალური აღზრდის საშუალებად იყენებდნენ ფოლკლორს(ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები და თქმულებები), ის გადასცემდა ახალ თაობებს, ცხოვრების სხვადასხვაგვარ სიტუაციებში, ადამიანის ქცევის წესებსა და ნორმებს.

ანტიკურ საბერძნეთში გაჩნდა პედაგოგიკური თეორიის ჩანასახები ,სადაც მკაფიოდ იყო გამახვილებული ყურადღება სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის იდეაზე ოჯახში. სახელი გაითქვა სპარტანული და ათენური აღზრდის სისტემებმა. ისინი თავიანთი მიზნებითა და საშუალებებით ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. სპარტაში, სამხედრო მონათმფლობელურ სახელმწიფოში, ცდილობდნენ ბავშვები აღეზარდათ მოქალაქე–მეომრებად. საზოგადოებრივი მორალი ადრეული წლებიდანვე აწესებდა აღეზარდათ გაბედული, გაკაჟებული ბავშვები ნაკლებ მომთხოვნი საჭმლისა და ტანსაცმელისა, ბავშვს არ უნდა სცოდნოდა, რა იყო ტირილი და თვითნებობა. მათი მიზანი იყო ყოლოდათ მომავალში ჯანმრთელი ბავშვები; ყურადღება ექცეოდა გოგონებისა და ქალიშვილების ფიზიკურ აღზრდას. მონათმფლობელების ბავშვები ათენში იმყოფებოდნენ ქალებისათვის განკუთვნილ

სახლის იზოლირებულ ნაწილში; ისინი შედარებით აზიზად იზრდებოდნენ, ვიდრე სპარტანელები, ძიძის ხელიდან ბავშვი გადადიოდა პედაგოგის ხელში .(.....)

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, არაერთი მოაზროვნის შეხედულებები გაიზიარა ხალხმა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანაში განსხვავებული აღზრდის მეთოდები არსებობდა და არსებობს დღესაც. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სპეციალისტების პროფესიული განვითარების სტანდარტები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში.

მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში სხვადასხვა სახის სკოლამდელი განათლების სისტემა განვითარდა. ახალი სახით სკოლამდელი დაწესებულებების შექმნა აღმოსავლეთ გერმანიაში დაიწყო 1945 წელს, რომლებიც მოიაზრებოდა, როგორც მოსამზადებელი დაწესებულებები. 1965 წელს კი სკოლამდელი დაწესებულებები დაექვემდებარა განათლების სისტემას. მას შემდეგ, რაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყეს ზრუნვა ბავშვთა უფლებებზე და მიიღეს კანონი ყველა ბაშვის სავალდებულო სკოლამდელი განათლების შესახებ, რესპუბლიკაში მცხოვრებ 3-დან 6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვებს ჰქონდა შესაძლებლობა ევლო საბავშვო ბაღში. მშობლებს შეეძლოთ მთლი დღე დაეტოვებინათ შვილები სააღმზრდელო დაწესებულებაში. საფასური იყო მინიმალური,თითქმის ერთი სადილის ფასი. ძირითად ხარჯს სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ფარავდნენ.

საბავშვო ბაღების პერსონალთა ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრული იყო კანონით ,რომელც შედიოდა ერთიანი სოციალისტური განათლების სისტემაში. პირველად ქვეყნის ისტორიაში, სკოლამდელი განათლება გადაეცა სახალხო განათლების სისტემას მმართველობაში და ითვლებოდა საგანათლებლო პროცესის საფეხურად. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1960 წელს აქტიურად განხილებოდა სკოლამდელი განათლებისა და დაწყებით სკოლის საკითხები. მიიღეს გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მეტი გაჭირვებული ოჯახიშ შვილს შესძლებოდა განათლების მიღება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი ,რომ აქ ჯერ კიდევ მე-19 -ე საუკუნეში დაიწყეს ფიქრი სასკოლო ასაკთან დაკავშირებით. ცხადია, საზოგადოებას გააზრებული

ჰქონდა სკოლადელი განათლების როლი ადამიანის ფორმირების პროცესში, ამიტომაც მეტი სიფრთხილით ეკიდებოდნენ საკითხს. სამეცნიერო დაწესებულებების მხარდაჭერით შეიმუშავეს საგანმანათლებლო პროგრამები და განახორციელდა საპილოტე პროექტები. ამ დროიდან დაიწყო სკოლამდელი განათლების სისტემის განვითარება. ომის შემდგომი პედაგოგიკა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიში ემყარებოდა ჰიტლერის იდეოლოგიის უარყოფის პრინციპებს, რომელმაც განსაზღვრა სკოლამდელი განათლების ძირითადი მიდგომები. ამ პერიოდში ქვეყანაში ახალგაზრდა ოჯახების დახმარების პოლიტიკა დაინერგა. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განსაკუთრებილი ყურადრებას უთმობდნენ მშობლების მიერ ოჯახში ბავშვთა აღზრდის უფლებების დაცვას. ამგვარად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სახელმწიფო არ ერეოდა სკოლამდელი განათლების აღზრდის საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბავშვთა ცნობიერების განვითარებას, მშვიდი და კომპორტული გარემოს შექმნას.ეროვნული მიზნების თანახმად,შეზღუდული იყო ბავშვთა ინდივიდუალობა, მუშაობდნენ ერთიანი პროგრამებით. ამავე დროს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშთა ჰიგიენასა და უსაფრთხოებას.

1989 წელს გერმანიის გაერთიანების შემდეგ უპირატესობა მიენიჭა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების სისტემას. ამასთან ერთად ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში, მომზადებული კადრი ძალიან ბევრი ჰყავდათ. მაშინ როდესაც ყოფილი დასავლეთ გერმანიის საბავშვო ბაღებში - კომპეტენტური მასწავლებლების ნაკლებობას განიცდიდნენ. ამ საკითხის დარეგულირებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მასწავლებლებს აძლევდნენ კომპესაციას, იმისათვის რომ უარი ეთქვათ პედაგოგიურ საქმიანობაზე.

1957 წლიდან დასავლეთ გერმანიაში მოქმედებს კანონი საბავშვო ბაღების თავისუფალი მომსახურების შესახებ. მათგან 20%-ზე ზრუნავდა სახელმწიფო, 80% ეკუთვნოდა ეკლესიას, პროფკავშირებს, გერმანიის წითელ ჯვარს, ახალგაზრდულ და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს. გადასახადის 50%-ს იხდიდნენ მშობლები,ხოლო დანარჩენს კი საბავშვი ბაღების მფლობელები.

გერმანიაში, არსებობს შემდეგი სახის სკოლამდელი დაწესებულებები:

- ✓ Kinderkrippe (creche) - სპეციალურად შექმნილი 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ფასიანია და ფასი განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონში;
- ✓ საბავშვო ბაღები სრული ან არასრული დღით, რომელიც განკუთვნილია 3 - 6 წლის ბავშვებისათვის;
- ✓ ერთჯგუფიანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ძირითადად უფროსი ასაკის სკოლამდელებისათვის);
- ✓ სკოლის წინარე ჯგუფები (ხუთი წლის ბავშვებისთვის);
- ✓ ძირითადი სკოლის მოსამზადებელი კლასები, სადაც ასწავლიან 5 წლის ასაკის ბავშვებს;
- ✓ 24 საათიანი ინტერნატები, ჯანმრთელი ბავშვებისათვის 3 წლიდან 6 წლამდე;
- ✓ ინტერნატები ჯანმრთელობასა და განვითარებაში პრობლემების მქონე ბავშვებისათვის;
- ✓ ქალთა ცენტრები. დედები შვილებთან ერთად ჩართული არიან საინტერესო და სასარგებლო საქმიანობებში, ურთიერთობენ ერთმანეთთან და პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალისტებთან.

გერმანიაში სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთა მომზადება მიმდინარეობს 5 წლის განმავლობაში და მოიცავს 3 ეტაპს. პირველი ეტაპზე 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობს პრაქტიკული სწავლება, როდესაც მომავალ სპეციალისტებს ასწავლის გამოცდილი პედაგოგი. ისინი უშუალოდ დაკავებული არიან სკოლამდელი დაწესებულების ყოველდღიური ცხოვრებით და ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს. ეს ეტაპი ეხმარება მათ თვითგამორკვევაში, დაფიქრდნენ, სწორად აირჩიეს თუ არა პროფესია.

მეორე ეტაპი - 2 წლის თეორიული სწავლება, რომლის დროსაც სტუდენტები შეისწავლიან, ბავშვის ფსიქოლოგიას, სკოლამდელ პედაგოგიკას, ასაკობრივ ფიზიოლოგიას და სხვ. მესამე ეტაპი - საბოლოო ერთწლიანი პრაქტიკა, როდესაც დამწყები სპეციალისტი მუშაობს გამოცდილ კოლეგასთან ერთად და ეუფლება პროფესიის უნარ - ჩვევებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმზრდელების

გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების სისტემა. თითოეულ აღმზრდელს ყოველწლიურად 5-6-ჯერ უტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი. ეს კურსი შეიძლება იყოს საკმაოდ ხანმოკლე (1-3 დღე) და შეიძლება იყოს ხანგრძლივი (2 კვირამდე). კურსი ეხება მასწავლებლის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს - მშობლებთან მუშაობა, ბავშვის განვითარებაზე დაკვირვების პრინციპები, დიაგნოსტირება, სპეციალური საგნები - მაგალითად, როგორ ჩავატაროთ ექპერიმენტი საბაშვი ბაღში, ინტენსიური მუსიკალური თამაშების ჩატარება, ან ტურების ორგანიზება, მოძრავი თამაშები და ა. შ. ამდენად, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა რეგულარულად (ყოველ 2 თვეში ერთჯერ), სამუშაოდან მოუწყვეტლივ აიმაღლოს კვალიფიკაცია, გაეცნოს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინოვაციებს, დანერგოს ბავშვის სწავლებისა და განვითარების ახალი მეთოდები, და რაც მთავარია გაუზიაროს კოლეგებს ახალ-ახალი იდეები. ამგვარად, ქვეყანა მაქსიმალურ ხარისხს სთავაზობს სასკოლო ასაკის ბავშვებს და მათ მშობლებს. მათ აქვთ გარანტია, რომ ბავშვი, რომელიც დადის ბაღში აუცილებლად იქნება მომზადებული ისე, რომ დააკმაყოპილოს სასკოლო მოთხოვნები.

გერმანიის საბავშვო ბაღების განმასხვავებელი მახასიათებლი არის ის, რომ მათ არ აქვთ მაკონტროლებელი ინსტრუქციები. ბავშვთა დაწესებულებები თავიანთი საქმიანობების შესახებ ანგარიშვალედებული არ არის სახელმწიფო ორგანოების მიმართ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი აღმზრდელთა შრომის ორგანიზებისათვის, იმდენად რამდენადაც არა არსებობს კონტროლი, ერთის მხრივ ეს ზრდის აღმზრდელების დამოუკიდებლობასა და პასუხისმგებლობას, ხოლო მეორეს მხრივ - აღმზრდელები ორიენტირებული არიან ბავშვების საგანმანათლებლო მუშაობაზე და არა მაკონტროლებელ კომისიაზე რაც გარკვეულწილად იწვევს დაძაბულობას და რაღაც დეტალების გაფორმალურებას.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს,გერმანიაში არააქვთ შემუშავებული მკაცრად განსაზღვრული სასწავლო გეგმა. საბავშვო ბაღებში 3-დან 6 წლამდე ბავშვებთან მუშაობისათვის გათვალისწინებული საგანმანათლებლო საქმიანობები

მიზნად ისახავს სულიერი, ფიზიკური, ემოციური და სოციარული კომპეტენციების განვითარებას და მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ მეტყველების განვითარება, ასოების გაცნობა, კომუნიკაცია;
- ✓ პიროვნული და სოციალური განვითარება, ზნეობრივ ღირებულებებზე ზრუნვა / რელიგიური აღზრდა;
- ✓ ელემენტარული მათემატიკის, ბუნებისა და ტაქნოლოგიების საფუძვლების გაცნობა (მათ შორის საინფორმაციო);
- ✓ მუსიკალური აღზდა / მედიასთან ურთიერთობა;
- ✓ მოძრაობა, ჯანმრთელობა და ადამიანის ორგანოები;
- ✓ ცოცხალი და არაცოცხალი გარე სამყარო. საინტერესო ფაქტები.

საქართველოსგან განსხვავებით სხვაგვარი მოსაზრება აქვთ გერმანელ დედებს.ისინი ფიქრობენ, რომ ბაღიდან ბავშვს არ მოაქვს ცოდნა, ეს არც მიაჩნიათ საჭიროთ. განათლების მისაღებათ ხომ სკოლაა. ამიტომ მიჰყავთ ,,მოთამაშეთა ჯგუფებში“. აქ ბავშვები მოჰყავთ მშობლებს ან ძიძებს. მანამ სანამ ბავშვები საუბრობენ და თამაშობენ, მშობლები სვამენ ჩაის, უმასპინძლდებიან სახლში გამომცხვარი ნამცხვარით და ხანგრძლივად საუბრობენ. საბავშვო ბაღები გერმანიაში - თითქოსდა არის პატარების კლუბი, რომელიც იღება ძალიან ადრე და მუშაობენ ყველაზე გვიან 2 საათამდე. ბაღში ბავშვები არ სადილობენ, მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის საოჯახო რიტუალი და უნდა ჩატარდეს სახლში.ეს არის აღზრდის ელემენტი , რომრლიც ხაზს უსვამს ტრადიციულობას.

კიდევ ერთმა დეტალმა მიიქცია ჩემი ყურადღება, რაც ვფიქრობ დადებითად აისახება ადრეული ასაკის ბავშვის განვითარებაზე. გერმანელი მშობლები არ აყურებინებენ შვილებს ტელევიზორს, მაქსიმუმი დრო, რის უფლებასაც აძლევენ არის მხოლოდ 15-30 წუთი. შესაბამისად, ისინი ვითარდებიან სწორად, მეტ დროს უთმობენ სხვადასხვაგვარ აქტივობებს: თამაშობენ სათამაშოებით, ხატავენ, უსმენენ მუსიკას ან დაკავებული არიან სპორტული თამაშებით.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ,რომ გერმანიის, როგორც სახელმწიფოს მიზანია, აღზარდოს ჯანმრთელი თაობა. ყოველგვარი გადატვირთული პროგრამის გარეშე, მარტივად, თამაშ- თამაშით განუვითაროს ბავშვებს ის ძირითადი უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია პიროვნების ფორმირების პროცესში.

საკმაოდ საინტერესოა ამერიკის მიდგომა სასკოლო მზაობის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, გავეცანი კანადის მაგალითზე. მოგეხსენებათ, კანადას მრავალფეროვანი და საკმაოდ რთული გეოგრაფიული მდბარეობა აქვს. მიუხედავათ დიდი ფართობისა, მოსახლეობის რიცხვი არც თუ ისე დიდია. რაც ყველაზე ცუდია განათლების სისტემისათვის, ეს არის არათანაბარი განლაგება დასახლებული პუნქტებისა. თითოეულ რეგიონს ჰყავს თავისი ხელმძღვანელობა და საკაკონმდებლო ორგანოები. განათლება რეგიონალური მთავრობის პრეროგატივაა. ვსაუბრობთ რა კანადის განათლების სისტემაზე, ფაქტიურად საქმე გვაქვს 13 დამოუკიდებელ მომქმედ სისტემასთან.

2001 წელს კანადამ განათლების სისტემის განვითარებისათვის დახარჯა მთლიანი ეროვნული შემოსავლის 7,3 %, მაშინ როდესაც ამ დროსისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიხარჯა - 6,8 %, გერმანიაში - 5,7 %, იაპონიაში - 4,9%. ტერმინი „დაწყებითი სკოლა“ კანადაში მოიცავს სკოლამდელ და დაწყებით განათლებას. მათ კარგად აქვთ გააზრებული სასკოლო მზაობის მნიშვნელობა, ამიტომ, რეგიონებისა და ტერიტორიების უმეტესობაში მუშაობს 1-2 წლიანი მოსამზადებელი პროგრამები 4-5 წლიანებისათვის

1885 წელს კანადის ისტორიაში მოხდა მნიშვნელოვანი ფაქტი. ონტარიოს მთავრობამ პირველად ჩრდილოეთ ამერიკის ისტორიაში შეიყვანა სკოლამდელი განათლება რეგიონის განათლების სისტემაში. უკვე 1900 წელს ონტარიოს 166 სკოლამდელ დაწესებულებაში სწავლობდა 11 ათასზე მეტი ბავშვი. პირველი სკოლები კანადაში, რომლებიც შეიქმნა ფრანგული კათოლიკური ეკლესიის განკარგულებით, თარიღდება მე-17 საუკუნის დასაწყისით.

რაც შეეხება სტრუქტურას და განყოფილებებს, სკოლამდელი განათლება კანადაში ვრცელდება 8 თვის ასაკიდან და სავალდებულოა სასკოლო ასაკამდე. მშობლებს აქვთ არჩევანის შესაძლებლობა, სად წაიყვანონ თავისი შვილი: კერძო, თუ საჯარო საბავშვო ბაღში, რომლებიც თავად განსაზღვრავენ ჩარიცხვის პოლიტიკას. სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსების წესების შესაბამისად, ადრეული განათლების ყველა პროვაიდერი ვალდებულია შესთავაზოს წინასასკოლო მომზადების მინიმუმ 33 კვირიანი სესიები. დღის საბავშვო ბაღები, როგორც წესი მუშაობენ მთელი წელი. აღმზრდელი შეიძლება იყოს როგორც უმაღლესი განათლებით, ასევე განათლების გარეშე. როგორც უკვე ავღნიშნე, კანადაში ვხვდებით ორი სახის საბავშვო ბაღს - სახელმწიფო და კერძო. სახელმწიფო საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს უსასყიდლოდ.თუმცა, პირობები საკმაოდ პრიმიტიულია. საკვები ბავშვებს თავად მიაქვთ სახლიდან, არ არის მოწყობილი დასაძინებელი ადგილი. კერძო საბავშვო ბაღებში ბავშვის დღიური გადასახადია 25დან 30-მდე დოლარი. ამ ბაღების უპირატესობა არის იმაში, რომ მშობელს შეუძლია ბავშვი ატაროს არა ყოველდღე, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა სჭირდება . ანუ, არ არის სავალდებულო. კერძო საბავშვო ბაღში ბავშვს უვლიან, როგორც საკუთარს. ბავშვები ერთად თამაშობენ, ერთობიან მუსიკით, კვება არის ძალიან კარგი, მხოლოდ ბუნებრივი და ხარისხიანი პროდუქტებით. როგორც წესი, ასეთი ბაღები განთავსებულია კერძო სახლებში, ისინი კარგად არიან აღჭურვილი. ჯგუფში არის, არაუმეტეს 5-7 ბავშვი. ასეთ ბაღებში ჩვეულებრივად მუშაობს 2-3 ადამიანი სპეციალური განათლებით. ისინი ძალიან აფასებენ ბაღის რეპუტაციას.

მათი მიზანი და ამოცანებია:

- ✓ პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება;
- ✓ კომუნიკაცია, ენა და წიგნიერება;
- ✓ მათემატიკური შესაძლებლობების განვითარება;
- ✓ აზროვნების განვითარება;
- ✓ ფიზიკური განვითარება;
- ✓ შემოქმედებითი განვითარება.

მთავრობის მიერ დაფინანსებულ საჯარო ბაღებში სასწავლო ,სააღმზრდელო პროგრამას თავად დირექტორები არჩევენ, საკუთარი სურვილით. მიუხედავად იმისა, რომ კანადაში სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის, ბოლო წლებში მან მასობრივი ხასიათი მიიღო. რეგიონებშიც ამ საფეხურის მომსახურებით სარგებლობს ბავშვების 90%. კანადაში, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სკოლამდელი დაწესებულებების მიზანია მოამზადოს ბავშვი დაწყებით სკოლაში სწავლებისათვის. სკოლამდელი კლასი. სკოლაში არის რამდენიმე (უმცროსი და უფროსი) სხვადასხვა ასაკის და მულტიკულტურული სკოლამდელი კლასი: ეს ნიშნავს, რომ აქ დადიან ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ არა მარტო კანადაში, ასევე ავროპასა და აზიაში. ბავშვები, რომელთა გარკვეული ნაწილი, ჯერ კიდევ ვერ საუბრობენ ინგლისურ ენაზე განვითარების დონე ყველას რა თქმა უნდა, სხვადასხვა აქვს. ყველა ბავშვი - ძალიან აქტიურია, ყველა დაკავებულია რაღაც საქმით. იგრძნობა, რომ ყველაფერი რაც ხდება მათთვის საინტერესოა და ამავე დროს ჩვეულებრივი. ბავშვები აკეთებენ იმას, რაც სურთ, მაგრამ ჭირვეულ და ცუდი ქცევის ბავშვებს ქუჩაში ვერ შეხვდებით. განსაკუთრებული სკოლამდელი განათლების სისტემა კანადაში არ არსებობს. „არა“-ს გამოყენება ბავშვთან აკრძალულია. განათლების ძირითადი პრინციპი კანადაში, არის მკაცრი წესებისა და რეჟიმის არ არსებობა. კანადაში ცდილობენ აღზარდონ თავისუფალი პიროვნება, რომლის განვითარებაში აქცენტი კეთდება თავისუფალ აზროვნებასა და შემოქმედებაზე. მთელი დღის განმავლობაში ბავშვთან თამაშობენ, ართობენ მუსიკით. როგორც წესი კერძო საბავშვო ბაღში დაკავებული არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე. სადილზე ბავშვებს კვებავენ ხილით, ნატურალური წვენებით. ერთადერთი, რაც მკაცრად არის აკრძალული ესაა ფიზიკური დასჯა. საჯაროდ ხომ ეს წარმოუდგენელი ფაქტია. ამის გამო აუცილებლად მოხვდებით ციხეში. მაშინაც კი, როდესაც ფიზიკურ დასჯას ვერ ხედავს მეზობელი, რისკი მაინც არსებობს, რადგან შვილებმა შეიძლება მშობლებს უჩივლონ. ზოგჯერ მოზარდები მშობლებს აშანტაჟებენ კიდეც, რომ მასზე ინფორმაციას მიაწვდიან. კანადაში 12 წლამდე ასაკის ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება აკრძალულია.

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა, დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევა კონფიდენციალურია, რაც გულისხმობს იმას, რომ შედეგები წარმოდგენილი იქნება შეჯერებული სახით, პროცენტულ მაჩვენებელში და რესპოდენტების შესახებ რაიმე სახის მაიდენტიფიცირებელი მონაცმები კვლევის განხილვისას არ იქნება დაფიქსირებული.

კვლევის ჰიპოტეზას რაც შეეხება, პირველკლასელთა უმრავლესობა სკოლაში შედის არასრულფასოვანი მზაობით -მათ დიდ ნაწილს არ აქვს გამომუშავებული ის ელემენტარული უნარები, რომლებიც განსაზღვრავს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმატებას.

კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენბრივი კვლევის მეთოდი. სულ

გამოკითხულია 80 რესპოდენტი.

კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს , როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლის მასწავლებლებმა თბილისის და რეგიონის სკოლებიდან. კვლევისთვის შევადგინე ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი.

კვლევა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. მასწავლებლებმა არ დაიშურეს ძალისხმევა და მივიღე არაჩვეულებრივი რეკომენდაციები,რომელსაც ქვემოთ განვიხილავ.

✓ შეკითხვაზე, თუ რომელი სქესის წარმომადგენლები იყვნენ რესპოდენტები, 100% მა დააფიქსირა, რომ იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მათგან

- 22 დან 25 წლამდე ასაკი დააფიქსირა 17 % მა.
- 25 და 30 წლამდე აღმოჩნდა 43 % გამოკითხული მასწავლებლების.
- 30 დან 40 მდე 11%. ხოლო
- 40 და ზევით - 29 %.

- რა ტიპის სკოლაში ასწავლით?

გამოკითხულ რესპოდენტთა 72% აღმოჩნდა საჯარო სკოლის პედაგოგი. ხოლო, 28 % კერძო სკოლის.

- ✓ რამდენ წელს მოიცავს თქვენი სასკოლო პრაქტიკა?
- გამოკითხულთა 12 % სისტემაშია 6-10 წელია
- 8 % სასკოლო მოღვაწეობას ეწევა 11-15 წელი.
- 5.1 % -16-20 წლამდე სტაჟს ითვლის
- 13 % 21 წელზე მეტია ემსახურება მომავალი თაობების აღზრდას.
- ✓ პირველკლასელ ბავშვთა მშობლებს ,კარგად ესმით სასკოლო მზაობის არსი?

რესპოდენტთა 5.1 % ფიქრობს, რომ მშობლებს კარგად აქვთ გააზრებული სასკოლო მზაობის მნიშვნელობა. პედაგოგთა 87.2 % მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ ესმით აღნიშნული საკითხი. ხოლო, 7.7 % ფიქრობს, რომ საერთოდ არ იციან რას გულისხმობს კვლევის საგანი.

- ✓ პირველკლასელ ბავშვთა მშობლები, რამდენად აქტიურად თანამშრომლობენ სპეც პედაგოგთან და ფსიქოლოგთან ,პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში?

2.6 % მასწავლებლების აფიქსირებს, რომ ყოველთვის მიმართავენ მშობლები დახმარებისთვის კომპეტენტურ პირს. 87.2 % მიიჩნევს რომ, იშვიათი ხასიათი აქვს მსგავს შემთხვევებს. ხოლო, 10.3 % საკუთარი გამოცდილებიდან ადასტურებს,რომ არასოდეს მიმართავენ მშობლები ფსიქოლოგს და სპეც მასწავლებელს.

- ✓ როგორ ახერხებენ პირველკლასელი ბავშვები ,სხეულის მოძრაობის კონტროლს ,მიზანმიართულ- კოორდინირებულ მოძრაობას და წონასწორობის შენარჩუნებას?

პედაგოგთა 76,9 პროცენტი მიიჩნევს, რომ პირველკლასელთა უმრავლესობას აქვს განვითარებული აღნიშნული უნარები. 12.8 % ამბობს, რომ ბავშვებს სკოლაში მისვლისას შეუძლიათ სხეულის მოძრაობის კონტროლი, მიზანმიმართული და კოორდინირებული მოძრაობა. ხოლო, 10,3 % აფიქსირებს აზრს, რომ მათ არააქვთ ზემოთ ნახსენები უნარები.

- ✓ ნატიფი მოტორიკა კარგად აქვთ განვითარებული . ახერხებენ წვრილი კუნთების კონტროლს და კოორდინირებულ მოქმედებას.

მოცემულ დებულებას ეთანხმება 23,1%, არ ეთანხმება 7,7 %. ხოლო 69,2 % მიიჩნევს,რომ ნატიფი მოტორიკა კარგად აქვთ პირველკლასელებს განვითარებული, ახერხებენ კუნთების კონტროლს და კოორდინირებულ მოქმედებას, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ამ უნარების დარღვევა ავს ბავშვს.

- ✓ როგორ ახერხებენ ბავშვები გრძნობათა ორგანოების გამოყენებას, საკუთარი მოძრაობის გასაკონტროლებლად?

გამოკითხულთა 17,9 % ადასტურებს, რომ ბავშვებს შეუძლიათ აღნიშნული რეფლექსის მართვა. 2,6 % ადასტურებს, რომ არ შეუძლიათ . და ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი მოდის პასუხზე, რომლითაც ვიგებთ, რომ ძირითად ნაწილს პირველკლასელებისა კარგად აქვს განვითარებული გრძნობათა ორგანოები და შეუძლიათ მათი მართვა.თუმცა, არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ირღვევა მოცემულობა. ასე ფიქრობს პედაგოგთა 79,5 %.

- ✓ კითხვაზე, ბავშვთა უმრავლესობა ერთვება თუ არა სხვადასხვა ფიზიკურ აქტივობაში და ავლენენ თუ არა მოძრაობის უნარ ჩვევებს და თვისებებს

მივიღე თითქმის ერთგვაროვანი პასუხი, 85 % ამბობს ,რომ მოსწავლეთა უმრავლესობა აქტიურია ამ კუთხით . კარგად აქვთ მომწიფებული მოძრაობის უნარ-ჩვევები. ხოლო, დარჩენილი 15 % ამბობს, რომ ნაწილობრივ არ ეთანხმება.

- ✓ ავლენენ თუ არა ბავშვები პირადი ჰიგიენის და თვითმომსახურების უნარ-ჩვევებს?

მასწავლებელთა 43, 6 % დამიდასტურა , რომ პირველკლასელ ბავშვებს კარგად აქვთ შეთვისებული პირადი ჰიგიენის ნორმები. 38,5 % მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ აქვთ გააზრებული ჰიგიენის მნიშვნელობა და როლი. 17,9 % აფიქსირებს აზრს, რომ ამ ასაკში არააქვთ ბავშვებს მზაობა პირადი ჰიგიენის დაცვის და თვითმომსახურების .

- ✓ რამდენად ესმით პირველკლასელებს უსაფრთხოების წესები?

გამოკითხულ პედაგოგთა მხოლოდ 10,3 % ეთანხმება მოსაზრებას, რომ ამ ასაკში ბავშვებს ესმით უსაფრთხოების წესები. 28,2% მიიჩნევს, რომ საერტოდ არააქვთ ბავშვებს წარმოდგენა უსაფრთხოების საკითხებზე. ხოლო, დიდი ნაწილი 61,5 % ამბობს, რომ ძნელია ასე პასუხის გაცემა, რადგან არაერთგვაროვანია ბავშვთა დამოკიდებულება უსაფრთხოების წესების მიმართ.

- ✓ პირველკლასელებს შეუძლიათ აღიქვან და სიამოვნება მიიღონ ხელოვნების ნაწარმოებისაგან .

მოცემულ დებულებაზე მხოლოდ 2,6 % მასწავლებლების დამეთანხმა. საკმაოდ დიდი ნაწილი ამბობს , რომ ბავშვებს არააქვთ ამის უნარე, ასეთი აღმოჩნდა თითქმის 25,6 %.

ხოლო, 71,8 % მიიჩნევს, რომ ბავშვებს ამ აქტივობის შესრულება შეუძლიათ ნაწილობრივ, არა სიღრმისეულად.მათ ნაკლებათ აქვთ განვითარებული დასკვნის გამოტანის უნარი.

- ✓ შემდეგ შეკითხვაზე- რამდენად აქვთ პირველკლასელებს უნარი მიიღონ მონაწილეობა როლურ თამაშებში? შეუძლიათ როლის განსახიერება?

მივიღე მრავალფეროვანი პასუხები:

- ❖ აქვთ უნარი მიიღონ მონაწილეობა როლურ თამაშებში - 13 %
- ❖ ბავშვების ნაწილს ეს კარგად შეუძლია ,თუმცა გააჩნია თამაშს- 5 %

- ❖ დიახ,მათ შეუძლიათ როლური თამაშები და როლების მორგება- 16%
- ❖ დიდ უმრავლესობას შეუძლია- 10 %
- ❖ იმ შემთხვევაში ანსახიერებენ,თუ ბაძავენ ვინმეს-7 %
- ❖ კი, შეუძლიათ და ეს ძალიან კარგად გამოსდით-8%
- ❖ ნაწილობრივ შეუძლიათ, არა სრულყოფილად-7%
- ❖ ყველას არ შეუძლია ამ ასაკში საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა.ბევრს სირცხვილის გამო უჭირს როლური თამაშების გათავისებს-20%
- ❖ შეუძლიათ და ძალიან კარგად ახერხებენ, თუმცა ჭირდებათ დახმარება-14%

- ✓ რამდენად ფლობენ ბავშვები ინფორმაციას სამოქალაქო საკითხების ირგვლივ?

როგორც გამოკითხვიდან ირკვევა, პირველკლასელთა ძალიან ცოტა ნაწილს სმენია სამოქალაქო საკითხები.მასწავლებელთა 47,8 % აფიქსირებს ,რომ მოსწავლეებს არა აქვთ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ხოლო 51,3% ამბობს, რომ ზოგიერთი იცნობს საკითხს.

- ✓ შეკითხვას -ავლენენ თუ არა პირველკლასელები ცოდნას ბუნების შესახებ ?

30,8 % ეთანხმება, ანუ თვლიან, რომ საკლარისი ცოდნა აქვთ პირველკლასელებს, სამყაროს, ბუნების შესახებ. 5,1 % არ არის კმაყოფილი მათი ცოდნით. ხოლო, 64,1 % თვლის, რომ სასკოლო ცხოვრების დაწყებისას, ბავშვებს აქვთ ნაწილობრივ დამაკმაყოპილებელი ცოდნა და მზაობა ბუნების საკითხებისადმი.

- ✓ შეუძლიათ პირველკლასელებს განსაზღვრონ და დააწყვილონ საგნები ზომის,მოცულობის, სიმაღლის და სიგრძის მიხედვით?

მასწავლებელთა 64,1 % თვლის, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ამ აქტივობის სწორად შესრულება. ნაწილობრივ მზაობას ხედავს 33,3%. ხოლო ძალიან მცირე ნაწილს- 2,6 %-ს მიაჩნია, რომ პირველკლასელებს არააქვთ განვითარებული აღნიშნული უნარები.

- ✓ შეუძლიათ მოვლენებს შორის მიმართების წვდომა?

84,6% ფიქრობს, რომ ნაწილობრივ აქვთ ბავშვებს განვითარებული მოვლენებს შორის მიმართების წვდომის უნარი. 2,6 % ფიქრობს , რომ არ შეუძლია პირველკლასელს მსგავსი აზროვნება. ხოლო 12,8% მიიჩნევს, რომ კარგად აქვთ ბავშვებს აღნიშნული უნარი განვითარებული.

- ✓ რამდენად აქვთ განვითარებული აზრის გამოხატვის უნარი?

20,5% თვლის, რომ პირველკლასელებს აქვთ აზრის გამოხატვის უნარი, ხოლო 79,5 % მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ ახერხებენ ბავშვები აზრების გამოხატვას.

- ✓ შეუძლიათ მოსმენა და აზრის გამოტანა?

გამოკითხულთა 38,5 %- უმრავლესობას შეუძლია

59% - ნაწილობრივ შეუძლიათ

2,6 % - არ შეუძლიათ.

- ✓ ამჟღავნებენ ნაბეჭდი მასალის აღქმის უნარს?

ამ კითხვაზე პასუხი მრავალფეროვანი აღმოჩნდა, 56,4 % ფიქრობს რომ უმრავლესობა კარგად ართმევს ამ დავალებს,თუმცა არიან გამონაკლისები ,ვისაც უჭირს. 12,8 % მიიჩნევს, რომ პირველკლასელებს არააქვთ უნარი აღიქვან და გადმოსცენ ნაბეჭდი მასალის შინაარსი. 30,8% კი ფიქრობს, რომ მოსწავლეები ამ კუთხით განვითარებულები მიდიან სკოლაში.

- ✓ ესმით წესები და შეთვისებული აქვთ ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო მოქმედებები?

უმრავლესობას აქვს შეთვისებული -41%

არააქვთ აღნიშნული უნარები-5,1 %

ბავშვების ნაწილს ესმის წესების და გამომუშავებული აქვთ ყოველდღიური საქმიანობისთვის საჭირო უნარები. ზოგიერთი მოუმზადებელია ამ კუთხით.ამგვარად ფიქრობს პედაგოგთა 53,8 %.

- ✓ მიმართავენ თუ არა საჭიროების შემთხვევაში უფროსს დახმარების სათხოვნელად?

დიახ, მიმართავენ-76,9%

იშვიათად მიმართავენ.ამ ასაკში ჰგონიათ, რომ რასაც აკეთებენ სწორია.-23,1%

- ✓ ამჟღავნებენ კეთილგანწყობას თანატოლების მიმართ და ურთიერთობენ მათთან?

უმრავლესობა ადვილად ადაფტირდება ახალ გარემოში-46,2%

ზოგიერთა უჭირს ახალი ურთიერთობები- 53,8 %

- ✓ გაგებით ეკიდებიან და პატივისცემას გამოხატავენ საკუთარი თავისაგან რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვების მიმართ?

მასწავლებელთა 28,2% ამბობს, რომ კარგად ურთიერთობენ პირველკლასელები განსხვავებული ქცევის მქონე ბავშვთან. 69,2% მიიჩნევს, რომ ყველა არა, მაგრამ გამონაკლისების გარდა არ უჭირთ ურთიერთობები.ხოლო 2,6 % აფიქსირებს პასუხს, რომლის საშუალებითაც ვიგებთ, რომ პირველკლასელები არ ურთიერთობენ შშმ ბავშვებთან.

- ✓ შეკითხვაზე, თუ რა სახის პრობლემებს აწყდებიან მასწავლებლები პირველკლასელებთან მივიღე შემდეგი პასუხები:

- ❖ ,,არააქვთ აზრის გამოტანის უნარი „
- ❖ ,,ადაფტაციის პრობლემა“
- ❖ ,,აღზრდის პრობლემები“
- ❖ ,,ზოგიერთი ბავშვი არ არის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გამოვლილი და უჭირთ საგაკვეთილო პროცესზე ყოფნა.“
- ❖ ,,დისციპლინის პრობლემა“
- ❖ ,,არააქვთ მოსმენის კულტურა.“
- ❖ ,,საგაკვეთილო რეჟიმთან უჭირთ შეგუება.“
- ❖ ,,უყურადღებობა“
- ❖ ,,უჭირთ წესრიგის დაცვა“
- ❖ ,,უჭირთ სასკოლო რეჟიმზე გადმოსვლა.“
- ❖ ,,პრობლემები პირველი სამი თვის განმავლობაში იჩენს ხოლმე თავს.შემდგომ ეჩვევიან ბავშვები ახალ გარემოს ‘’
- ❖ „უჭირთ კონცენტრირება“
- ❖ ,,სირთულეების დაძლევა, თანატოლებთან ურთიერთობა „
- ❖ ,,მოტორიკის პრობლემა „
- ❖ ,,მეტყველებია, ბგერათა გამოთქმის პრობლემა „
- ❖ „ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობა.“
- ❖ ,,შრომითი უნარების განუვითარებლობა“

ეს გახლავთ აზრობრივად დაჯგუფებული მოკლე მიმოხილვა იმ პასუხებისა,რაც მივიღე გამოკითხვის შედეგად.და ბოლოს, ასეთი შეკითხვით დავასრულე გამოკითხვა:

- ✓ რა რეკომენდაციას მისცემდით საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ,რა მიმართულებით იმუშაონ სასკოლო მზაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად?

- ❖ „სკოლამდელ დაწესებულებაში უნდა მიაქციონ ყურადღება შემეცნებითი აქტივობების გამოყენებას.“
- ❖ ,,ასწავლონ ერთმანეთის პატივისცემა.“
- ❖ „თამაშ-თამაშით უნდა ასწავლონ კონცენტრირება. „
- ❖ ,, საბავშვო ბაღის აღმზრდელები მეტად უნდა ორიენტირნდნენ თამაშით სწავლებაზე“
- ❖ „უნდა გამოუმუშაონ აღსაზრდელებს წინა სასკოლო უნარ-ჩვევები. თავი შეიკაონ სასკოლო მასალის მიწოდებისგან. როგორიცაა: წერა, კითხვა, ანგარიში.ამის სწავლება არაა საჭირო ბაღში.“
- ❖ „ვისურვებდი, მეტი ემპათია გაეღვიძებინათ ბავშვში.“
- ❖ ,,ჩემი აზრით, საჭიროა მეტი ფსიქოლოგიური მუშაობა სასკოლო მზაობის შესაქმნელად. პირველ რიგში მშობლებს და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მასწავლებლებს უნდა ესმოდეთ მზაობის არსი.მათზეა დამოკიდებული, როგორი განწყობით შემოვა ბავშვი სკოლაში.მოგეხსენებათ ეს მუხტი კი გასდევთ მთელი ცხოვრების მანძილზე.ამგვარად,ვურჩევდი მათ, რომ მეტი ფსიქოლოგიური საუბრით,მორალური აღზრდით დაკავდნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან.
- ❖ ,,ჩემი პრაქტიკიდან გეტყვით, რომ ბავშვებს აკლიათ სოციალური, მორალური აღზრდა.მათ უნდა მიაჩვიონ ქცევის,მოვალეობების გააზრებას.“
- ❖ ,, სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს საბავშვო ბაღში ბავშვის შემოქმედებითობას.“
- ❖ „ვურჩევდი, გაეცნონ პირველი კლასის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ამის საფუძველზე შეუქმნან გარკვეული წარმოდგენები.“

- „სასურველია ბავშვებს ესაუბრონ სასკოლო ცხოვრებაზე,იმაზე, თუ როგორი ცხოვრება ელოდებათ მომავალში.ჩემთვის, პედაგოგისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია პირველკლასელთა ყუფაქცევის უნარები: სწორად ჯდომის, მოსმენის, უფროსის და მეგობრების პატივისცემის . დამეთანხმებით, ურთიერთობებია ყველაფრის საწყისი.მასწავლებელს ძალიან გაუჭირდება საგაკვეთილო პროცესის წარმართვა, თუ ამ ელემენტარული უნარებით არ მოვა ბავშვი სკოლაში.“
- ,,პედაგოგებს ვურჩევდი, მიაჩვიონ ბავშვები სხვისი აზრის მოსმენას.ეს ერთგვარი კულტურა და საგაკვეთილო პროცესის წარმატების საწინდარია.“
- ,,საჭიროა მეტი ინფორმაციის მიწოდება თამაშით.მარტივად და სახალისოთ.ისე, რომ ბავშვის გონება არ გადაიღალოს და გადაიტვირთოს.ჩემი აზრით, აღმზრდელმა უნდა მიაგნოს გზას, კონკრეტულ სააღმზრდელო ჯგუფთან რომელი მეთოდი მუშაობს წარმატებით და ის გამოიყენოს ხშირად.“
- ,,ვურჩევდი სკოლამდელი ასაკის აღმზრდელებს, გულისხმიერად გაყვნენ სასკოლო მზაობის საპროგრამო მასალას.დამერწმუნეთ, შედეგს აუცილებლად მიაღწევთ.“
- „პირადად მე, როგორც გამოცდილ პედაგოგს მაღელვებს პატარა ბავშვების ემოციური განვითარების დონე. გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე, ბავშვები მეტად აღგზნებული და დაბნეულები არიან.მე ვფიქრობ,ინტერნეტის ეპოქის გამოძახილია ეს ყოველივე.ვთხოვ, საბავშვო ბაღის აღმზრდელებს, მეტი დრო დავუთმოთ მოზარდთა ემოციურ განვითარებას.ბავშვობაში თუ არ ვასწავლეთ ემოციების კონტროლი,ძალიან გაუჭირდება მოზრდილობაში.“
- ,,ვურჩევდი, რომ იმუშაონ პასუხისმგებლობის დახვეწაზე.ხელი შეუჭყონ ბავშვების ადაფტირებას საქმიან გარემოში.სულაც არ არის რთული, ნებისმიერ დროს შევურჩიოთ პატარას შესაფერისი შრომითი აქტივობა.რაც აუცილებლად დადებითად აისახება მის განვითარებაზე.
- ,,მოგეხსენებათ,ტექნოლოგიების ეპოქაში ვცხოვრობთ. მშობლები მეტად დაკავებულნი და გადაღლილნი არიან. ბავშვებს მეტი დროის გატარება უწევთ მათ გარეშე, საბავშვო ბაღში, ან უარეს შემთხვევაში ეკრანთან. პირადად მე,

როგორც პედაგოგი ყველაზე მეტად ვგრძნობ ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ბავშვები მეტად ჭირვეულები და თავნებები არიან.ამ ყველაფერს კი იწვევს სიტბოს,მზრუნველობის ნაკლებობა.წიგნის წასაკითხადაც ვეღარ იცლიან მშობლები.ასე რომ,მოვუწოდებ აღმზრდელებს,მეტი სითბოთი და სიფაქიზით მოეპყარით აღსაზრდელებს, რადგან ვერანაირ უნარს ვერ განვავითარებთ მასში, თუ არ იყო ფიზიკური, ემოციური ჯანმრთელობა."

- „ჩემი რჩევა იქნებოდა,მეტად ესაუბრონ ბავშვებს სხვადასხვა საკითხებზე მათთვის გასაგებ ენაზე. რათა ჩამოუყალიბდეთ მოსმენის კულტურა, აზრის გამოტანის და საკუთარი ნაფიქრის გამოხატვის უნარი. ხშირად გამოიყენონ გონების სავარჯიშო აქტივობები.
- „ასწავლონ ბავშვებს თავის მოვლა, პირადი ჰიგიენის დაცვა. საკუთარი და სხვისი უსაფრთხოების წესები გააცნონ."
- ,,ჩემი პირადი პრაქტიკიდან ვურჩევდი პედაგოგებს იზრუნონ აღსაზრდელების ნატიფ მოტორიკაზე. ძალიან ბევრ ბავშვს უჭირს კალმის ხმარება,ვერ იჭერს სწორად ფანქარს. „
- ,, ძალიან მნიშვნელოვანია იზრუნონ ბავშვთა კომუნიკაბელურობაზე."
- „ვურჩევდი სახალისო და შემეცნებითი აქტივობებით დაეტვირთათ სააღმზრდელო პროცესები. ეფექტურად გამოიყენონ მოტივაციის ასამაღლებელი სტრატეგიები."
- ,,ყველა ბავშვი ინდივიდუალურად სწავლობს და ვითარდება.ნუ მოვაქცევთ ბავშვებს მარწუხებში.მივცეთ არჩევანის საშუალება რისი სწავლა სურს."
- ,,სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებს ვურჩევდი, მიაჩვიოს ბავშვები მარტივ, ასაკზე გათვლილ შრომით აქტივობებს. მაგალითად, თამაშის შემდგომ სათამაშოების შენახვა,მაგიდიდან ადგომის შემდეგ სკამის გასწორება, საკუთარი ნივთების მოვლა და ა.შ."
- „ჩემი აზრით, დღეს დღეობით ძალიან აქტუალურია ბავშვებში მეტყველების დარღვევა. რატომღაც, მშობლებს მოსწონთ ბავშვური ინტონაციით რომ საუბრობს მათი შვილი,თავადაც მსგავსად ესაუბრებიან.დამერწმუნეთ, ეს

ძალიან ცუდია. გირჩევთ, დროულად ჩააყენოთ მშობელი საქმისკურსში და დაიხმაროთ ბაღის ლოგოპედი.დროულად აღმოფხვრათ პრობლემა. “

- „შეაჩვიონ ბავშვები ჯგუფურ აქტივობებს.სკოლაში მისვლისას აღარ გაუჭირდებათ ახალ სოციუმში ადაფტირება.“

დასკვნები:

- ✓ საქართველოში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით არასწორად არის გაგებული ,, სასკოლო მზაობის '' მნიშვნელობა.ბოლო წლებში მეტად აქტუალურია ეს საკითხი.კვლევები ცხადყოფს, არასწორი მიდგომით შესაძლოა ჩიხში შევიდეს საგანმანათლებლო პროცესი.
- ✓ მშობელთა დიდ ნაწილს არააქვს გააზრებული, რა საფრთხის შემცველია ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, მორალურად მოუმზადებელი ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში ჩაბმა.
- ✓ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება მშობელთა და ექსპერტთა შეხედულებები სასკოლო მზაობის არსთან დაკავშირებით.
- ✓ ბავშვის მზაობის ხარისხი აუცილებლად აისახება მის აკადემიურ მოსწრებაზე, მომავალ მიღწევებზე და წარმატებებზე.
- ✓ ბავშვის ასაკი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მზაობას ახალი, სასკოლო ცხოვრებისადმი.
- ✓ ოჯახური აღზრდის შემდეგ დიდი როლი აკისრია სააღმზრდელო დაწესებულებებს. კერძოდ საბავშვო ბაღი დადებითად მოქმედებს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე. ფორმალურ გარემოში მიღებული ინფორმაცია მეტად ილექება მათ გონებაში. დროთაგანმავლობაში ჯაჭვურად ებმის ერთმანეთს და ქმნის სასკოლო მზადყოფნას.
- ✓ ჩემს მიერ განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა,რომ ბავშვები სრულად ვერ აკმაყოფილებენ განვითარების სტანდარტებს.მაგალითად,ნატიფი მოტორიკის განვითარების კუთხით ძალიან ცუდი შედეგები აქვთ პირველკლასელებს. ძალიან ბევრ მათგანს უჭირს კალმის სწორად დაჭერა და გამოყენება.
- ✓ გამოკითხულ რესპოდენტთა ნახევარზე მეტი აღიარებს პირველკლასელთა განვითარებას პირადი ჰიგიენის დაცვის და თვითმოომსახურების კუთხით.რასაკვირველია არის გამონაკლისი შემთხვევებიც, მაგრამ უმნიშვნელო.
- ✓ შემეცნებითი განვითარების და ზოგადი ცოდნის კუთხით ნაკლებ სახარბიელო მდგომარეობა იკვეთება,გამოკითხულ პედაგოგთა დიდი ნაწილი ამბობს,რომ

ბავშვების უმეტესობას უჭირს ხელოვნების ნიმუშის აღქმა, პარალელების გავლება ფილმის სიუჟეტსა და რეალურ ცხოვრებას შორის.

- ✓ პედაგოგთა დიდი ნაწილი ადასტურებს, რომ სკოლაში მოსვლისას ბავშვებს არააქვთ საფუძვლიანი ცოდნა დრო- სივრცული რეალობისა. მეტ-ნაკლებად აქვთ განვითარებულიორიენტაციის უნარი. ძნელად ერკვევიან აგრეთვე ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ ცნებებში.
- ✓ 21-ე საუკუნის ბავშვები თამამი და თავისუფლები არიან. შესაბამისად არ უჭირთ საკუთარი აზრის გამოხატვა .
- ✓ კვლევაზე დაყრდნობით თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ იგრძნობა ბავშვების გნვითარებაზე საბავშვო ბაღის საღმზრდელო შედეგი. პირველკლასელები კარგად ახერხებენ რაოდენობრივი კანონზომიერების დადგენას.შეუძლიათ საგნების დაჯგუფება რაიმე ნიშნის მიხედვით.სურათზე ადვილად პოულობენ მითითებულ ფორმებს.
- ✓ როგორც ირკვევა, სკოლაში მისვლისას ბავშვები კარგად ერკვევიან უსაფრთხოების წესებში. იციან შუქნიშნის ფერების მნიშვნელობა, როლური თამაშების დროს ადგენენ უსაფრთხოების ჩვევების დემონსტრირებას.
- ✓ დადებითი ფაქტი, რაც კვლევმ აჩვენა ის არის, რომ პირველკლასელთა უმრავლესობა აქტიურად იღებს მონაწილეობას ფიზიკურ აქტივობბში. ჩემი აზრით ეს განპირობებულიასპორტული ცხოვრების პროპაგანდით.ყველა მშობელი ცდილობს ფიზიკური აქტივობით დატვირთოს ბავშვი პატარა ასაკიდან. თუმცა, სასკოლო ცხოვრებაში დღის რეჟიმში აუცილებლად შესასრულებელი უნდა იყოს გამამხნევებელი ვარჯიშები.
- ✓ როდესაც საკითხი ეხება ბავშვთა თვითდაჯერებულობის საკითხს, პადაგოგთა აზრი ორად გაიყო. ერთი ნაწილი აფიქსირებს, რომ ბავშვები დახმარებისთვის მიმართავენ უფროსს, ამ შემთხვევაში მასწავლებელს. ხოლო მეორენი კი ფიქრობენ, რომ მათ მოსწავლეებს ჭარბად აქვთ საკუთარი თავის რწმენა და ეჭვი არ ეპარებათ საკუთარი ქცევის სისწორეში.
- ✓ იკვეთება ურთიერთობის პრობლემა. 6 წლის ბავშვებს უჭირთ ახალ გარემოსთან ადაფტაცია. ჭირდებათ დრო ახალი ურთიერთობების დასამყარებლად.

- ✓ პირველკლასელ ბავშვებს უჭირთ მათგან რაიმე ნიშნით განსხვავებულ ბავშვებთან ურთიერთობა.

რეკომენდაციები:

- ✓ პირველი ნაბიჯები რაც ამ საკითხის მოსაგვარებლად უნდა გადაიდგას, ეს არის განათლების სამინისტროს მიერ დაგემილი უფასო საინფორმაციო ტრენინგები. რომლებსაც გაუძღვებიან ფსიქოლოგები, პედიატრები, ნეიროფსიქოლოგები და ასევე ექსპერტები. ინფორმაციული ზრდა ადეკვატურად გამოიწვევს სასკოლო მზაობის გაუმჯობესებას.მშობელი სწორ აქცენტს გააკეთებს კონკრეტულ შემთხვევაში .შედეგი იქნება ის, რომ ბავშვი აღარ აღმოჩნდება ბარიერების წინაშე. ექნება შანსი სწორად განვითარდეს და მიაღწიოს წარმატებას.
- ✓ სასურველია სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე დააწესოს საბავშვო ბაღის სავალდებულოობა. კვლევები ცხადყოფს, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაგამოვლილი ბავშვები მეტად მომზადებულნი შედიან სკოლაში, ვიდრე ის ბავშვები , ვისაც არ უვლია ბაღში.
- ✓ მშობელმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გაწიოს საოჯახო აღზრდის კუთხით.მხოლოდ საბავშვო ბაღში მიღებული ინფორმაცია და ცოდნა არ არის საკმარისი მოვამზადოთ ბავშვი ახალი ცხოვრებისათვის.
- ✓ საბავშვო ბაღის აღმზრდელებს მართებთ სწორი მეთოდიკის გამოყენებით, თამაშ-თამაშის მიაწოდონ ბავშვებს ასაკის შესაბამისი ინფორმაცია.
- ✓ ძალიან დიდი შეცდომაა როდესაც სკოლის მასალას ასწავლიან ბავშვებს ბაღში. აღმზრდელებმა აუცილებლათ უნდა გაითვალისწინონ სტანდარტით განსაზღვრული ნორმები. ზედმეტი ინფორმაციით დატვირთვა დადებით შედეგს არ გვაძლევს.პირიქით, პირველკლასელი, რომელმაც უკვე იცის ანბანი, კითხვა და ანგარიში, თვლის რომ აღარ უნდა უსმინოს გაკვეთილზე მასწავლებელს. ამით ხელს უშლის საგაკვეთილო მსვლელობას და ასევე მეგობრებს, რომლებმაც არ იციან აღნიშნული საკითხები.
- ✓ სასკოლო მზაობის მისაღწევად მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის პედაგოგმა იზრუნოს ბავშვების სოციალურ-მორალურ აღზრდაზე. რის გარეშეც,დამეთანხმებით წარმოუდგენელია პიროვნების სწორად ფორმირება.

- ✓ ბოლო წლების განმავლობაში განვითარდა საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა. კეთილმოწყობილი ეზოები და დარბაზები მეტი სტიმულია იზრუნონ ბავშვების ფიზიკურ განვითარებაზე. დღის რეჟიმის ყოველდღიური შესრულება გამოუმუშავებს პატარებს ჯანმრთელი ცხოვრების წესის სიყვარულს.
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიურ ეპოქაში, ძალიან ადვილია სხვადასხვა როლური თამაშებით და აქტივობებით მიაწოდონ ბავშვებს ხელოვნების მრავალფეროვნება.იზრუნონ ესთეტიურ აღზრდაზე.
- ✓ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობა სასკოლო მზაობის შესაქმნელად არის- სხვისი აზრის მოსმენის და პატივისცემის უნარი.პედაგოგებმა,აუცილებად უნდა მოუსმინოს ბავშვებს და შეაქოს მათი მოსაზრებები. მიუთითოს მოუსმინონ ბავშვებმა ერთმანეთს. დამეთანხმებით, ეს ისეთი პრობლემაა ,რომ აუცილებლად უნდა დავიწყოთ მისი სწავლება ადრეული ასაკიდან.
- ✓ ყველა ბავშვი ინდივიდუალურად სწავლობს და ვითარდება. ნუ მოაქცევენ ბავშვებს მარწუხებში, მისცენ არჩევანის საშუალება რისი სწავლა სურთ.
- ✓ საბავშვო ბაღის პედაგოგებმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ პირადი ჰიგიენის ნორმებზე, სწორ კვებაზე. ხელების ხშირი დაბანისკენ მოწოდება, კვების თანმინდევრულობა და დამოუკიდებლად ჭამა, ერთ-ერთი ბაღში გამოსამუშავებელი უნარებია. ხშირად სახლში ზედმეტად ანებივრებენ ბავშვებს უფროსები, აძალებენ და აჭმევენ საკუთარი ხელით. ცხადია ამის გაკეთება შეცდომაა. უნდა მივცეთ დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება.
- ✓ ასაკისთვის შესაბამის ენაზე მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი ქვეყნის ისტორიის და კულტურის შესახებ.
- ✓ აუცილებელია ,საბავშვო ბაღიდან ჩაუნერგონ ბავშვებს ცოდნა ბუნების და ადამიანების ურთიერთკავშირზე. ასწავლონ ბუნების სიყვარული და მოვლა.
- ✓ მნიშვნელოვან საკითხებს შორის იკვეთება ემოციური განვითარების როლი და მნიშვნელობა. ცხადია ემოცია ყველა ასაკში აქვს ადამიანს.მთავარია ვასწავლოთ მისი მართვა და კონტროლი. ურთულესი პერიოდია სკოლამდელი ასაკი , სწორედ ამ პერიოდშია თავმოყრილი ემოციათა ზღვა, რომელიც უნდა დალაგდეს და

დასტაბილურდეს. სიახლის ძიების ემოცია, სიხარული, მწუხარება, აღტაცება - ყველაფერს ემოციურად გამოხატავენ ბავშვები. აღმზრდელზეა დამოკიდებული როგორ მართავს მათ.

- ✓ პირველი საზოგადოებრივი გარემო, ოჯახის შემდეგ ბავშვისთვის არის ბაღი. აქ უნდა დაიხვეწოს მისი დამოკიდებულება და მიდგომა თანატოლების და უფროსების მიმართ. მშობლების შემდეგ მასწავლებელმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა შეათვისებინოს ბავშვს ურთიერთობების მართვა. განსხვავებული ქცევების მქონე ბავშვებთან ურთიერთობა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქ.ჭკუასელი.ივ.ჭკუასელი
2. ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015.
3. უზნაძე დ., განწყობის თეორია, თბილისი, 2008
4. უზნაძე დ., ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალ,1912. 5.
5. უზნაძე დ., აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჟურნალი „განათლება“, №6, 1912.
6. მედინსკი ე., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1941.
7. პლატონი., სახელმწიფო, II, თბილისი, 2014.
8. პლატონი, კანონები., თბილისი, 2015.
9. სკოლამდელი პედაგოგიკა, ვ. იადეშკოსა და ფ. სოხინას რედაქციით, თბილისი, 1987.
10. პედაგოგიკის ისტორია, პროფ. ნ. ვასაძის რედაქტორობით, თბილისი, 2004 .
11. იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1958 .
12. სკოლამდელი აღზრდა საქართველოში(1859-1947),ჟურნალი„კომუნისტური აღზრდა“, №2, 1959
13. დოლიძე ლ., სახალხო განათლების სისტემა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, № 12, 1971
14. ალმედინგი ნ., სკოლის ასაკამდე აღზრდის ახალ პედაგოგიკისაკენ, პედაგოგიური კრებული № 659,
15. სკოლის ასაკამდე აღზრდა, მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1927 .
16. ბუროვცევა მ., სკოლის ასაკამდე აღზრდის თანადროული დაწესებულებანი, პედაგოგიური კრებული № 659,
17. სკოლის ასაკამდე აღზრდა, მარიამ ორახელაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1927.
18. მედინსკი ე. პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1941.

19. გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბილისი 1974.
20. ლორა ბერკი, ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 2008.
21. . ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები, თბილისი, 2010.
22. ადრეული ბავშვობის წიგნიერება და რაოდენობრივი წარმოდგენები: კარგი პრაქტიკის დამკვიდრება - მ. ფლიერი და ბ. რაბანი , ადრეული ბავშვობა ავსტრალია: კანბერა, 2007.
23. www.nplg.gov.ge
24. www. education.ge
25. https://ka.wikipedia.org/wiki
26. www.Parlament.ge.
27. education.ge
28. intermedia.ge
29. www.qwelly.com
30. mactavlebeli.ge
31. www.parliament.ge/.../adreuli-agzrdisa-da-ganatlebis-shesaxeb-kan.).
32. . mes.gov.ge
33. www.preschooleducation.ge
34. www. naeec.ge

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Education Sciences

Masers's program "Education Sciences"

Elashvili Mariami

The readiness of the first grade pupils - problems and perspectives

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Education Sciences

Master's thesis advisor: Zakaria Kitiashvili

Doctor of Education Sciences

Associate Professor

Tbilisi

2019